



ემბისი



წლიური ანგარიში



## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

### სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალის აქციონერებს და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით მოსაზრება ორგანიზაციის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე 2024 წლის 1 მაისს. სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მივიღეთ ფინანსური ანგარიშგებაზე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ და მასზე პასუხისმგებელია ორგანიზაციის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით, გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ 2023 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

### ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან ორგანიზაციის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან ორგანიზაციის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

### აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

10 მაისი 2024

საქართველოს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონის III თავის მე-11 მუხლის საფუძველზე (პერიოდული ანგარიშები და ანგარიშგების წარმოების მოთხოვნები) და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 07 ოქტომბრის N181/04 ბრძანების შესაბამისად, წარმოგიდგენთ სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალის“ (404967078) ნახევარი წლის ანგარიშს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
- სრული შემოსავლის ანგარიშგება
- ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
- ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ
- მმართველობითი ანგარიშგება

ვაცხადებთ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 10 მაისს შემდეგი პირების მიერ:

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ტარას ნიჟარაძე




გენერალური დირექტორი

გია პეტრიაშვილი



ფინანსური დირექტორი

თათია ჯაჯანაშვილი



# შინაარსი

## სტრატეგიული ანგარიში

1.	ჩვენ შესახებ	5
2.	ძირითადი ფინანსური და საოპერაციო მაჩვენებლები	7
3.	სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მიმართვა	9
4.	გენერალური დირექტორის მიმართვა	11
5.	მაკროეკონომიკის მიმოხილვა	13
6.	მიკროსაფინანსო ბაზრის მიმოხილვა	18
7.	ბიზნეს მოდელი და სტრატეგია	21
8.	ძირითადი შედეგების მიმოხილვა	24
9.	ინვესტირებთან ურთიერთობა და დაფინანსება	26
10.	ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	28
11.	კორპორაციული მდგრადობა	30
12.	ჩვენი გუნდი	37
13.	ინფორმაციული ტექნოლოგიები	42

## მმართველობა

14.	კორპორაციული მართვა	44
15.	სამეთვალყურეო საბჭო	46
16.	დირექტორატი	49
17.	აუდიტის კომიტეტი	52

## ფინანსური ანგარიშგება

1.	დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	56
2.	ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	60
3.	სრული შემოსავლის ანგარიშგება	61
4.	ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ	62
5.	ფულადი ნაკადების ანგარიშგება	63
6.	ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	64



# ჩვენ შესახებ



# 1

## ჩვენ შესახებ

მიკრო ბიზნეს კაპიტალი (ემბისი) საქართველოში ერთ-ერთი წამყვანი მიკროსაფინანსო ორგანიზაციაა და დღესდღეობით, საქართველოს 8 რეგიონში, 17 სერვის ცენტრითაა წარმოდგენილი.

კომპანია 105.6 მილიონი ლარის მოცულობის მთლიან სასესხო პორტფელს მართავს და 2023 წლის მდგომარეობით, 237 თანამშრომელს აერთიანებს.


ორგანიზაცია ისწრაფვის შექმნას მცირე მეწარმეობისა და ფერმერობის განვითარების შესაძლებლობა და ამ გზით ხელი შეუწყოს მიკრო ბიზნესის ფინანსურ სტაბილურობას, ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებას. ემბისი არსებობის მანძილზე 142,000-ზე მეტ უნიკალურ მომხმარებელს მოემსახურა და მათ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპებზე დაფუძნებული მომსახურება შესთავაზა.

მომხმარებლებთან გრძელვადიანი და გამჭვირვალე ურთიერთობის დამყარება ემბისის უმთავრესი პრიორიტეტია.

ემბისი საუკეთესო წლიური ანგარიშისა და გამჭვირვალობის ჯილდოს კონკურსის (BARTA) არაერთგზის გამარჯვებულია. გარდა ამისა, 2023 წელს, კომპანიამ საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსში (Meliora) უმაღლესი ჯილდო მოიპოვა და „წლის პასუხისმგებელი მცირე და საშუალო კომპანია“ გახდა. ასევე, ემბისის მოპოვებულ ჯილდოებს შორის, მნიშვნელოვან ადგილს იკავებს კორპორაციული მდგრადობის ჯილდო - ახალგაზრდებში ფინანსური განათლების ხელშეწყობის პროექტით. გასულ წელს, კომპანიის ოპერაციების დირექტორი გაეროს გლობალური შეთანხმების SDG ჰიონერის ადგილობრივი და გლობალური რაუნდის გამარჯვებული გახდა.

მნიშვნელოვან მოვლენებს შორისაა 2022 წელს საქართველოს საფონდო ბირჟაზე ემბისის 15 მილიონი ლარის მოცულობის ორწლიანი ობლიგაციების განთავსება.

ამგვარი აღიარება დამსახურებულად აყენებს ემბისის წარმატებული კომპანიების გვერდით და ცხადყოფს მის მზაობას გადავიდეს განვითარების ახალ ეტაპზე მიკრო ბანკის სტატუსის მოპოვებით.





ძირითადი  
ფინანსური და  
საოპერაციო  
მაჩვენებლები



# 2

## ძირითადი ფინანსური და საოპერაციო მაჩვენებლები

მთლიანი აქტივები (+6%)

₾117 მლნ

მთლიანი სესხები (+13%)

₾105.6 მლნ

წმინდა მოგება (+209%)

₾2 მლნ

მთლიანი კაპიტალი (+3%)

₾20.6 მლნ

ROE

10%

ROA

1.8%

საფინანსო ორგანიზაციებიდან  
ნასესხები სახსრები (+8%)

₾77.1 მლნ

პარტნიორი საფინანსო  
ინსტიტუტების რაოდენობა

11

ფილიალების რაოდენობა

17

თანამშრომლების რაოდენობა

237

მომხმარებელთა რაოდენობა (+12%)

60.949

თანამშრომლების  
კმაყოფილების ინდექსი

79%

მომხმარებელთა  
კმაყოფილების ინდექსი

84%

მომხმარებელთა  
ლოიალობის ინდექსი

86%





## ტარას ნიშვარაძე

### სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

2023 წელი ემბისისთვის წარმატებული გახლდათ არა მხოლოდ ფინანსური მაჩვენებლების კუთხით, არამედ იმ თვალსაზრისითაც, რომ კომპანიის გუნდის მრავალწლიანმა დაუღალავმა შრომამ ლოგიკურ შედეგამდე მიგვიყვანა და ემბისი გახდა პირველი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბაზარზე, რომელმაც საქართველოს ეროვნულ ბანკში მიკრო ბანკის ლიცენზიის მიღების სურვილი ოფიციალურად განაცხადა.

საამაყო ის ფაქტი, რომ მაღალი კონკურენციის პირობებში 10 წლიანი ოპერირების შედეგად, დღეს კომპანია არა მხოლოდ სექტორის ლიდერთა შორისაა, არამედ მნიშვნელოვანი გარდატეხის, განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლის მზაობაც აქვს. 2024 წელს ჩვენი მთავარი მოლოდინი სწორედ ამ ფაქტს - საზოგადოების

წინაშე ახალი სტატუსით ოპერირების პერსპექტივასა და გამოწვევებს უკავშირდება.

აქვე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიკრო ბანკის სტრუქტურასთან დაახლოების მიზნით, ემბისიში უკვე განხორციელდა მთელი რიგი ორგანიზაციული ცვლილებები და პროცესი ამ ეტაპზეც აქტიურად გრძელდება.

2023 წელი ემბისისთვის პრაქტიკულად ყველა ძირითადი ინდიკატორის გაუმჯობესებით იყო გამორჩეული. კომპანიის სასესხო პორტფელი 13%-ით გაიზარდა, 6%-იანი ზრდა დაფიქსირდა მთლიანი აქტივების მიმართულებით, მომხმარებელთა რაოდენობის კუთხით კი კომპანიას 12%-იანი მატება ჰქონდა. ამასთანავე, 209%-ით გაიზარდა წმინდა მოგება, კაპიტალზე უკუგების მაჩვენებელმა კი 10%-ს მიაღწია. გარდა ამისა, ემბისი სტაბილურად ინარჩუნებს თანამშრომელთა და მომხმარებელთა კმაყოფილებისა და ლოიალობის მაღალ ინდექსებს, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით მისასალმებელია.

მოგხსენებათ, რომ 2023 წელს მიკროსაფინანსო ბაზრის მთლიანი პორტფელის ზრდამ 8.2% შეადგინა. ემბისის ჰქონდა სექტორის წარმომადგენლებს შორის ზრდის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 13%. აღნიშნულის პარალელურად, კომპანია ბაზართან და ბაზრის უმსხვილეს მოთამაშებებთან მიმართებაში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი რისკების პარამეტრებით გამოირჩევა. 2023 წლის ბოლოს ემბისის ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა მთლიან სესხებთან მიმართებაში 3.1% იყო, მაშინ როდესაც სექტორის ანალოგიური მაჩვენებელი 6.2%-ს შეადგენდა. ხოლო ემბისის 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილების მქონე სესხების მოცულობა მთლიან სესხებთან მიმართებაში 2% გახლდათ, მიკროსაფინანსო ბაზრის ანალოგიური მაჩვენებელი კი 3.5% გახლდათ.

ცალსახაა, რომ სექტორის რისკების გაუმჯობესების ტენდენცია საქართველოს ეროვნული ბანკის გატარებული სწორი რეგულაციების შედეგია. მისასალმებელია, რომ დღეს ბაზარზე დარჩენილი მოთამაშეები პასუხისმგებლიანი დაკრედიტების გზით განვავრცობთ საქმიანობას.

2023 წელი ემბისისთვის მნიშვნელოვანი გახლდათ ინვესტიციების მოზიდვის მხრივაც. კომპანიის მიმართ საერთაშორისო პარტნიორების ნდობა იზრდება, რაც წლიდან წლამდე მოზიდული ფულადი სახსრების მოცულობაზეც აისახება. 2023 წელს ემბისის მოზიდული სახსრების ზრდა 7% ჰქონდა. კომპანიის მიერ მოზიდული ფულადი სახსრების მოცულობამ 90 მილიონ ლარს გადააჭარბა.

დღეს ემბისი მრავალფეროვან სეგმენტს ემსახურება - როგორც ბიზნესის, ასევე საცალო მიმართულებით. კომპანიისთვის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია შექმნას ხელმისაწვდომი ფინანსური სერვისები და პროდუქტები და ამ გზით უზრუნველყოს მცირე მეწარმეებისა და ფერმერების განვითარების შესაძლებლობა. ამის დასტურია ის ფაქტიც, რომ 2023 წელს აგრო-ბიზნეს მეწარმეობის მიმართულებით ემბისიმ თითქმის 50 მილიონ ლარამდე ფინანსური რესურსი გასცა. აღნიშნული ტენდენცია სამომავლოდაც აუცილებლად გაგრძელდება. ვვგამავთ, მნიშვნელოვნად გავზარდოთ როგორც მომხმარებელთა სეგმენტი, ასევე დაფინანსების მოცულობა, რის საშუალებასაც პირველ რიგში მიკრო ბანკის ლიზენციის მიღება მოგვცემს.

### ემბისი მომავალში

ემბისი განაგრძობს ცვლილებების განხორციელებას ორგანიზაციული სტრუქტურის, პროცესებისა და პროდუქტების

ბანკის სტრუქტურასთან, პროცესებთან და პროდუქტებთან დაახლოების მიმართულებით.

2024 წელს კომპანიის ძირითადი პრიორიტეტი საბანკო ტრანსფორმაციის პროექტის წარმატებით დასრულება, პროცესების მაქსიმალური ავტომატიზაცია და ახალი საბანკო პროდუქტების შექმნაა.

თუმცა, მასშტაბური პროექტებისა და ცვლილებების განხორციელება შეუძლებელია ურთიერთგაგების, ერთმანეთის შრომის დაფასების, განვითარებაზე მუდმივი ზრუნვისა და იმ თავდადების გარეშე, რაც გასულ წლებში ემბისის გუნდმა გამოავლინა. სწორედ ამიტომ მიმაჩნია, რომ სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, ემბისის წარმატება უპირველესად იმ 237 ადამიანის დამსახურებაა, რომელიც დღეს წარმოადგენს ემბისის გუნდს.

შესაბამისად, გაწეული შრომისთვის მინდა მადლობა გადავუხადო თითოეულ ემბისელს, ასევე ჩვენს აქციონერებს, კრედიტორებს, მომწოდებლებს, პარტნიორებსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრ-კოლეგებს. დარწმუნებული ვარ, ჩვენი არაჩვეულებრივი გუნდითა და პარტნიორების მხარდაჭერით, წინ ბევრი წარმატება გველის.

**ტარას ნიჟარაძე**

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე



### გია პეტრიაშვილი

ემბისის გენერალური დირექტორი

ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო,

2023 წელი ემბისისთვის საიუბილეო გახლდათ. კომპანიას 10 წელი შეუსრულდა და ჩემთვის განსაკუთრებით საამაყოა ის ფაქტი, რომ ამ თარიღს წარმატებითა და რაც მთავარია, ამბიციური სამომავლო გეგმებით შევხვდით. წლის მთავარი სიახლე გახლდათ ის, რომ ემბისი ქართულ ბაზარზე პირველი მიკროსაფინანსო ორგანიზაციაა, რომელმაც საქართველოს ეროვნულ ბანკს მიკრო ბანკის ლიცენზიის მოთხოვნის განაცხადით მიმართა.

დღეს, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ემბისის წარმატება დაფუძნებულია ჩვენს

მთავარ აქტივზე - კერძოდ, იმ ნდობასა და ლოიალობაზე, რაც არსებობის 10 წლის მანძილზე კომპანიამ დააგროვა მომხმარებლების სახით. ზემოაღნიშნულში, ასევე, უდიდეს როლს თამაშობს ემბისის გუნდი, რომელსაც ყველა გამოწვევასთან გამკლავება შეუძლია და რომლის მიმართ მინდა განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატო.

სწორედ მომხმარებელთან ჩამოყალიბებული ორმხრივად სასარგებლო და გრძელვადიანი ურთიერთობები და გუნდის პროფესიონალიზმია ის, რაც გვიქმნის მოლოდინს, რომ 2024 წელი კომპანიისთვის განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლის წელი იქნება. ემბისი გახდება ერთ-ერთი პირველი ორგანიზაცია, რომელიც ბაზარზე მიკრო ბანკის სტატუსით წარსდება და ამ ნაბიჯით, ჩვენი მთავარი მიზანი - ხელი შევუწყობთ მიკრო ბიზნესის ფინანსურ სტაბილურობას, გავზარდოთ დაფინანსების მიღების შესაძლებლობები მიკრო და მცირე მეწარმეებისთვის - კიდევ უფრო ფართო მასშტაბებს შეიძენს. შესაბამისად, გვაქვს მოლოდინი, რომ დადებითი ტენდენციებით დასრულებული 2023 წლის შემდეგ, კიდევ უფრო წარმატებული და საინტერესო - სიახლეების, ახალი შეთავაზებების, პროდუქტების განახლებული ასორტიმენტის, ახალი ბაზრების ათვისებისა და სხვა საინტერესო გამოწვევების წელი გვექნება.

### რა იყო მნიშვნელოვანი 2023 წელს

მოგეხსენებათ, რომ მთელი 2023 წლის მანძილზე, ჩვენს მეზობლად კვლავ აქტიურად გრძელდებოდა საომარი მოქმედებები, რაც გარკვეულწილად არასტაბილურ და არაპროგნოზირებად სიტუაციას ქმნიდა ქვეყანაში. ემბისიმ შეძლო მდგომარეობასთან ადაპტირება და 2023 წელი დადებითი შედეგებით დასურა.

საანგარიშო პერიოდში, გაიზარდა კომპანიის სასესხო პორტფელი და 105 მლნ ლარს გადააჭარბა. მნიშვნელოვანი ზრდა გვაქვს აქტივების კუთხითაც - კომპანიის აქტივების მოცულობამ 2023 წლის ბოლოს 117 მლნ ლარს გადააჭარბა. რისკების პარამეტრების კუთხით კი, ემბისი კვლავ რჩება ბაზარზე ერთ-ერთ საუკეთესო მიკროსაფინანსო ორგანიზაციად. ემბისის თანამშრომლების რაოდენობა 237-ს აღწევს.

10 წლის მანძილზე ემბისი 142,000-ზე მეტ მომხმარებელს მოემსახურა. კომპანიის მეგობრებს შორის 15,000-მდე ბიზნეს და აგრო მეწარმეა, რომელთა წარმატება ჩვენთვის განსაკუთრებით საამაყოა და ამავედროულად, ვფიქრობ, არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პირდაპირპროპორციულიცაა. ემბისი აღნიშნული ბიზნესების ფინანსური სტაბილურობის სადარჯაოზე დგას და რაც მთავარია, მათთან მრავალწლიანი მეგობრობა აკავშირებს.

ამ მხრივ, ცალკე აღნიშვნის ღირსია ემბისის ურთიერთობა ქალ მეწარმეებთან. ჩვენთვის პრიორიტეტულია ქალთა გაძლიერების მხარდაჭერა და ამის დასტურია ისიც, რომ კომპანიის ბიზნეს-აგრო სესხების პორტფელში 30%-მდე ქალია. რაც შეეხება ემბისის გუნდს - კომპანიაში დასაქმებულთა 60%-ზე მეტი ქალია და აღნიშნული სტატისტიკა თითქმის ანალოგიურია საშუალო თუ უმაღლეს რგოლებშიც.

2023 წლის მნიშვნელოვან მოვლენებს შორისაა კომპანიის გააქტიურება არაუზრუნველყოფილი სესხების მიმართულებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენს არსებულ თუ პოტენციურ მომხმარებელს განვითარების, ფინანსურ რესურსებზე წვდომის კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა ექნება.

2024 წლიდან, მიკრობანკად ტრანსფორმაციის პროცესში, ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულება ემბისის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევაა. პროგრამული უზრუნველყოფის გაუმჯობესების, საოპერაციო პროცესების გაციფრულების,

მონაცემთა დაცულობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით, კომპანიამ მნიშვნელოვნად გაზარდა ინვესტიციების მოცულობა. ამ ეტაპზე, აქტიურად მიმდინარეობს ციფრული ტრანსფორმაციის გრძელვადიანი გეგმის განხორციელებაზე მუშაობა.

#### 2023 წლის მნიშვნელოვანი ჯილდოები

გასულ წელს, ზედიზედ მესამედ, ემბისის საუკეთესო წლიური ანგარიშისა და გამჭვირვალობის საპატიო ჯილდოს - BARTA-ს მფლობელი გახდა. ასევე, ჩვენ მოვიპოვეთ Meliora 2022-ის გრანპრი, კატეგორიაში - "წლის პასუხისმგებელი მცირე და საშუალო კომპანია". 2023 წელს ემბისის მოპოვებულ ჯილდოებს შორის ცალკე აღნიშვნის ღირსია კორპორაციული მდგრადობის ჯილდო მცირე და საშუალო ბიზნესის კატეგორიიდან. ამას გარდა, ემბისის საოპერაციო დირექტორი გაეროს გლობალური შეთანხმების SDG პიონერის ადგილობრივი და გლობალური რაუნდის გამარჯვებული გახდა.

#### პარტნიორებთან ურთიერთობა

2023 წელს ემბისი არსებული და ახალი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან გრძელვადიანი, არაუზრუნველყოფილი სესხების მოზიდვას განაგრძობს. ჩვენთვის ძალიან დასაფასებელია პარტნიორების მხრიდან ნდობის ასეთი მკაფიო გამოხატულება.

ევროპული ფონდი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისთვის (EFSE) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარტნიორი გახლავთ, რომელთანაც ემბისიმ 2023 წელს ხელშეკრულებას მოაწერა ხელი და 7 მილიონი ლარის სესხი მიიღო საქართველოში მცხოვრები მეწარმე ქალებისა და ფერმერებისთვის დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით.

#### მომავლის ხედვა

დარწმუნებული ვარ, რომ 2024 წელს ემბისის ბანკად გარდაქმნის პროცესი წარმატებით დასრულდება. მადლობას გადავუხდით ყველა ემბისელს - ის რომ ემბისი დღეს ბაზრის ლიდერთა შორისაა და მეტიც, განვითარების ახალ საფეხურზე გადასვლის ამბიციები აქვს, მათი დამსახურებაა.

კომპანიის გეგმები საკმაოდ ამბიციურია, თუმცა, მჯერა, რომ წლის ბოლოს ემბისელები დიდ წარმატებას მივულოცავთ ერთმანეთს.

**გია პეტრიაშვილი**  
გენერალური დირექტორი






# მაკროეკონომიკის მიმოხილვა




**მშპ-ს რეალური ზრდა**

2023 წელს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს წინასწარი მონაცემებით, რეალური მშპ-ს ზრდამ 7.5% შეადგინა - 2022 წელს კი ქვეყნის ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი 11% იყო.



**მიმდინარე ანგარიში მშპ-სთან**



**მიმდინარე ანგარიში**

2023 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა - 1 327 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 206.4 მილიონი აშშ დოლარით მეტია, ხოლო მშპ-სთან მიმართებაში - 4.3%-ს შეადგენს.

2022 წელს საქართველოს საგადასმდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიში 1 121 მილიონი აშშ დოლარი გახლდათ, 2021 წელთან შედარებით აღნიშნული დეფიციტი 824 მილიონი აშშ დოლარით შემცირდა. მშპ-სთან მიმართებით მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 2021 წლის 10.2%-დან - 4.1%-მდე შემცირდა 2022 წელს, ხოლო 2023 წელს 4.3%-მდე გაიზარდა.

**ექსპორტი-იმპორტი**

2022 წელთან შედარებით, 2023 წელს ექსპორტი 0.5 მილიარდი აშშ დოლარით არის გაზრდილი და 6 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს. რაც შეეხება იმპორტს - 2 მილიარდი აშშ დოლარით გაიზარდა და წლის დამლევს 15.6 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა.

ექსპორტში მნიშვნელოვანი წილი დსთ-ს ქვეყნებს უჭირავთ - მთლიანი ექსპორტის 66%, ევროკავშირის ქვეყნებს - 12%, ჩინეთს - 5%.

იმპორტში კი მთლიანი იმპორტის 25% ევროკავშირის ქვეყნებზე მოდის, დსთ - 21%, ჩინეთი - 9%.

**ფულადი გზავნილები**


2023 წელს ფულადი გზავნილების ჯამურმა ჩარიცხვებმა 4 123 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 249 მილიონი აშშ დოლარით (6%) ნაკლებია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე.

353 მილიონი აშშ დოლარი გახლდათ 2023 წლის გადარიცხვების მოცულობა - 10 მილიონი აშშ დოლარით (3%) მეტი 2022 წლის მაჩვენებელთან მიმართებაში.


ჩარიცხვების განაწილება უმსხვილესი ქვეყნების მიხედვით: რუსეთის ფედერაცია - მთლიანი ჩარიცხვების 37%, იტალია - 13%, აშშ - 11%, საბერძნეთი - 9.4%.

გადარიცხვების განაწილება უმსხვილესი ქვეყნების მიხედვით: თურქეთი - მთლიანი გადარიცხვების 21%, რუსეთის ფედერაცია - 12%, აზერბაიჯანი - 10%, უკრაინა - 6%.

ფულადი გზავნილების ჩარიცხვები უმსხვილესი ქვეყნების მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)




ფულადი გზავნილების გადარიცხვები უმსხვილესი ქვეყნების მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)



ტურიზმი

2023 წელს არარეზიდენტი ვიზიტორების საშუალო თვიურმა რაოდენობამ, 2022 წლის მონაცემს 31%-ით გადააჭარბა და 428.2 ათასი შეადგინა, რაც პანდემიამდელი მდგომარეობის, კერძოდ, 2019 წლის ვიზიტორების რაოდენობის 85%-ია. მიუხედავად ამისა, 2023 წლისთვის ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 26%-ით გადააჭარბა პანდემიამდე პერიოდს (2019 წელი). ასევე, საგრძნობი გაუმჯობესება შეინიშნება ბოლო წლების ჭრილშიც - კერძოდ, 2023 წელს, 2022 წელთან შედარებით, ტურიზმიდან შემოსავლები 17%-ით გაიზარდა და 4.125 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ. აშშ დოლარი)



პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2023 წლის წინასწარი მონაცემებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 1.6 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს. ამ მიმართულებით, 2022 წელთან შედარებით, 24%-იანი კლება აღინიშნება.


2023 წლის მონაცემებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნების მიხედვით ასე გამოიყურება: ყველაზე დიდი პირდაპირი უცხოელი ინვესტორი საქართველოში გაერთიანებული სამეფოა - ჯამური ინვესტიციების 25%-ით, შემდეგ ნიდერლანდები - 23%, თურქეთი - 11% და აშშ - 10%.

2023 წლის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სექტორების მიხედვით: ყველაზე მეტ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციას საქართველოში საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობა იზიდავს - მთლიანი პირდაპირი ინვესტიციების 39.5%, შემდეგ მოდის დამამუშავებელი მრეწველობა - 18%, ტრანსპორტი - 8.7%, ვაჭრობა - 7.3%, ენერჯეტიკა - 6.8%.

**დასაქმება-ხელფასები**

2023 წელს უმუშევრობის დონე კლებას განაგრძობდა. 2021 წელს დაფიქსირებული ბოლო პერიოდის პიკური - 20.6%-იანი ნიშნულიდან, 2022 წელს უმუშევრობის დონე 17.3%-მდე შემცირდა, ხოლო 2023 წელს დამატებით 0.9%-ით შემცირდა და 16.4% შეადგინა.

უმუშევრობის დონე



რაც შეეხება საშუალო თვიურ ნომინალურ ხელფასს, ამ მიმართულებით გრძელდება დადებითი ტენდენცია და 2023 წლის მე-4 კვარტლის მონაცემებით, საშუალო თვიური ანაზღაურება 2044.5 ლარით განისაზღვრა. 2023 წლის საშუალო ხელფასი წინა წელთან შედარებით 20.4%-ით გაზრდილია.

**გაცვლითი კურსი და საერთაშორისო რეზერვები**

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2022 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ვალუტის კურსი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა და წლის განმავლობაშიც არ გამოირჩეოდა დიდი მერყეობით. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2022 წლის ბოლოსთან შედარებით, ლარი აშშ დოლართან 0.05%-ით გამყარდა, ხოლო ევროსთან მიმართებაში გაუფასურდა 3.2%-ით. 2019 წლის ბოლოსთან შედარებით კი, ლარი აშშ დოლართან მიმართებით გამყარდა 6.2%-ით, ხოლო ევროსთან მიმართებით 7.3%-ით.


ეროვნულ ვალუტას გამყარების ტენდენცია ჰქონდა თურქულ ლირასთან და რუსულ რუბლთან მიმართებითაც. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ლარი თურქულ ლირასთან, 2022 წლის ბოლოსთან შედარებით, გამყარდა 36.9%-ით, ხოლო 2019 წელთან შედარებით 81.1%-ით. რუსულ რუბლთან მიმართებით კი - 2022 წლის ბოლოსთან შედარებით 18.6%-ით, ხოლო 2019 წლის ბოლოსთან შედარებით 35.6%-ით.

2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სავალუტო აუქციონზე ინტერვენციებით სხვადასხვა პერიოდში 166.75 მილიონი აშშ დოლარი გაყიდა და შესყიდვა არ განუხორციელებია. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2023 წლის განმავლობაში სავალუტო აუქციონის გარეშე შეისყიდა 1 446 მილიონი აშშ დოლარი (წმინდა). ამ თანხიდან 1 463,7 მილიონი აშშ დოლარის შესყიდვა მოხდა პირველ რვა თვეში.

ეროვნული ბანკის ოფიციალური სარეზერვო აქტივები 2023 წლის ბოლოს 5 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა, 2022 წლის ბოლოს მდგომარეობით კი 4.9 მილიარდი აშშ დოლარი იყო.

**ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი**

ეროვნული ბანკის მიერ წინა წლებში გატარებული მკაცრი მონეტარული პოლიტიკის შედეგად 2023 წელს საშუალო წლიურმა ინფლაციამ 2.6% შეადგინა და მიზნობრივ 3%-იან მაჩვენებელს ჩამოსცდა - მაშინ, როდესაც 2022 წელს ინფლაცია ბოლო პერიოდის პიკურ 11.9%-იან ნიშნულზე იყო. შესაბამისად, 2023 წლის დასაწყისიდან საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაიწყო მონეტარული პოლიტიკის შემსუბუქება, რაც აისახა რეფინანსირების განაკვეთის კლებაში. 2022 წლის ბოლოსთვის რეფინანსირების განაკვეთი 11%-ს შეადგენდა, ხოლო 2023 წლის ბოლოს 9.5%-მდე შემცირდა.





### სახელმწიფო ბიუჯეტი

2022 წელს სახელმწიფო ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი დადგინდა 3%-იან ზღვარში დასტაბილურდა და 2.4% შეადგინა - მაშინ, როდესაც 2021 წელს დეფიციტი 6%-ს აჭარბებდა. 2023 წლის წინასწარი მონაცემებით ბიუჯეტის დეფიციტი ისევ 2.4%-იან ნიშნულზეა, ხოლო 2024 წელს მოსალოდნელია დეფიციტის მცირედით 2.6%-მდე ზრდა, თუმცა დადგინდა 3%-იან ზღვარში შენარჩუნება.

### სახელმწიფო ვალი

2023 წელს სახელმწიფო ვალის მოცულობამ მშპ-სთან მიმართებით 53% შეადგინა - აქედან 39% საგარეო, ხოლო 14% საშინაო ვალს უკავია. წინა წელთან მიმართებაში სახელმწიფო ვალის მოცულობა მშპ-სთან მიმართებაში 1%-ით არის გაზრდილი.

საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალმა 2022 წლის ბოლოს მდგომარეობით 22.5 მილიარდი ლარი, ხოლო 2023 წლის მონაცემებით 24 მილიარდი ლარი შეადგინა. საშინაო ვალი 2022 წლის ბოლოს 7.2 მილიარდი ლარი გახლდათ, 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით კი 8.6 მილიარდი ლარს შეადგენდა.

### საერთაშორისო რეიტინგი

2023 წელს, Fitch -მა საკრედიტო რეიტინგის მოლოდინი „ნეგატიურიდან“ „სტაბილურზე“ შეცვალა, ხოლო S&P Global-მა და Moody's-მა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი უცვლელად (BB (Negative) და Ba2 (Negative)) დატოვა.

### 2024 წლის ეკონომიკური პროგნოზი

აზიის განვითარების ბანკის პროგნოზით, 2024 წელს, შემცირებული გარე მოთხოვნისა და სერვისების ფონზე, საქართველოს ეკონომიკა სტაბილურად წელი ტემპით გაიზრდება. ამასთანავე, 2025 წლიდან მოსალოდნელია ზრდის ტემპის დაჩქარება.<sup>1</sup>

აზიის განვითარების ბანკის პროგნოზით, სამომხმარებლო ფასების მცირედი ზრდიდან გამომდინარე, 2024 წელს ინფლაციის 3.5%-მდე, ხოლო 2025 წელს 4%-მდე ზრდა არის მოსალოდნელი. დადებითი ტენდენცია შეინიშნება მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის თვალსაზრისითაც. 2024 წელს მშპ-ს 5%-ით ზრდა გახლავთ მოსალოდნელი - 2025 წელს კი ტურიზმისა და ინვესტიციების ზრდის გათვალისწინებით 5.5%-ით ზრდაა მოსალოდნელი. აზიის განვითარების ბანკის მოლოდინით - „იმპორტი შედარებით დაბალი ტემპით გაიზრდება და 2024 წელს ზრდა 6.1%-ს შეადგენს, შიდა ზრდის შენელებისა და ავტომობილების შემცირებული რეექსპორტის ხარჯზე,

ხოლო 2025 წელს 11.1%-მდე გაიზრდება. პროგნოზის მიხედვით, მოხდება ფულადი გადარიცხვების სტაბილიზება დაახლოებით 3 მილიარდ აშშ დოლარამდე მომდევნო 2 წლის განმავლობაში, რადგან რუს მიგრანტებთან დაკავშირებული გარე შემოდინება შენელება და საპირისპირო მიმართულებით შემობრუნდება, რამაც შესაძლოა დადამავალი ზეწოლა მოახდინოს ლარზე“. ამასთან, გეოპოლიტიკური დაძაბულობა გავლენას მოახდენს სერვისების ზრდის დინამიკაზე. 2024 წელს სერვისები 5.5%-ით გაიზრდება, ხოლო 2025 წელს ტურიზმის ინდუსტრიის მოსალოდნელი ზრდის გათვალისწინებით - 6.3%-მდე. „მრეწველობის ზრდას 2024 წელს 4.2%-ით პროგნოზირებენ, 2025 წელს 4.9%-ით, ფეროშენადნობთა მაღალი წარმოების ხარჯზე. სოფლის მეურნეობის ზრდა 2024 წელს 0.5%-მდე შემცირდება, მომავალ წელს კი 1.1%-მდე გაიზრდება, მთავრობის მხარდაჭერით სოფლის მეურნეობის დაკრედიტებისა და დაზღვევისა და ახალ ტექნოლოგიებში ინვესტიციების შედეგად“.

მსოფლიო ბანკის შეფასებით, გაზრდილი გეოპოლიტიკური რისკების ფონზე, 2024 წელს საქართველოში ეკონომიკის 5.2%-იანი ზრდა არის მოსალოდნელი. ფულადი გზავნილების შემოდინების კლების მიუხედავად, მოსალოდნელია ინვესტიციების ზრდა და ტურიზმის სექტორის გაძლიერება. პროგნოზის მიხედვით, მონეტარული პოლიტიკის შემსუბუქების ხარჯზე, ინფლაცია 2024 წლის ბოლოსთვის 3%-იან სამიზნე მაჩვენებელს მიაღწევს.<sup>2</sup>

საქართველოს მთავრობის მოლოდინით, 2024 წელს ეკონომიკის 5.2%-იანი ზრდა არის მოსალოდნელი, თუმცა ფინანსთა მინისტრის განცხადებით (18 აპრილი, 2024), ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი უახლოეს მომავალში გადაიხედება და სავარაუდოდ, 5.7%-ს გაუტოლდება.

2024 წელს ეკონომიკის განვითარება ფოკუსირებული იქნება რეგიონალურ თანამშრომლობაზე, კერძო სექტორის გაძლიერებასა და მდგრადი, მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობაზე.

1. [https://www.adb.org/news/georgian-economy-grow-5-2024-5-5-2025-adb#:~:text=News%20from%20Country%20Offices%20%7C%2011%20April%202024&text=The%20Asian%20Development%20Outlook%20\(ADO,gains%20in%20tourism%20and%20investment.](https://www.adb.org/news/georgian-economy-grow-5-2024-5-5-2025-adb#:~:text=News%20from%20Country%20Offices%20%7C%2011%20April%202024&text=The%20Asian%20Development%20Outlook%20(ADO,gains%20in%20tourism%20and%20investment.)

2. <https://www.worldbank.org/en/country/georgia/overview#3>

# მიკროსაფინანსო ბაზრის მიმოხილვა



## მიკროსაფინანსო ბაზრის მიმოხილვა

(შენიშვნა: წინამდებარე თავში მოყვანილი მონაცემები დაანგარიშებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კვარტალური ანგარიშების შესაბამისად)

2023 წელს, მიკროსაფინანსო სექტორში, როგორც აქტივების - ისე სასესო პორტფელის მიმართულებით ზრდა დაფიქსირა. თუმცა, ზრდის ტემპი წინა წელთან მიმართებაში მნიშვნელოვნად შემცირებული იყო. სექტორის რისკების პროფილი განაგრძობს გაუმჯობესებას და მის სიჯანსაღეზე 2023 წელს დაფიქსირებული ისტორიულად დაბალი რისკების პარამეტრებიც მიუთითებს.

### მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და აქტიური სესხების რაოდენობა

2023 წელს რეგისტრირებულ ორგანიზაციათა კლების ტენდენცია კვლავ გრძელდებოდა. საანგარიშო წლის ბოლოს მიკროსაფინანსო სექტორში რეგისტრირებული ორგანიზაციების (შემდგომში „მისო“) რაოდენობამ 34 შეადგინა - 2022 წლის შემდეგ სექტორს კიდევ ორი მისო გამოაკლდა.


2023 წლის ბოლოს მიკროსაფინანსო სექტორის აქტიური სესხების რაოდენობა 850 ათას შეადგენდა, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 3%-ით მეტია.

### მიკროსაფინანსო სექტორის აქტივები და მთლიანი სესხები

2023 წლის დასასრულს მიკროსაფინანსო სექტორის ჯამურმა აქტივებმა 2 მილიარდ ლარს გადააჭარბა, ხოლო აქტივების წლიური ზრდის ტემპი 7.4% გახლდათ. 2022 წელს აქტივების ზრდამ 15% შეადგინა.

საანგარიშო წლის ბოლოს მიკროსაფინანსო სექტორის მთლიანმა სესხებმა 1.7 მილიარდ ლარს გადააჭარბა, ხოლო წლიურმა ზრდის ტემპმა 8.2% შეადგინა, რაც წინა წლის 15.7%-იან ზრდაზე თითქმის ორჯერ ნაკლებია.

სესხების ზრდის ტემპი სექტორების მიხედვით




2023 წლის მთლიანი სესხების ზრდა სექტორების მიხედვით გამოიყურება შემდეგნაირად:

8.5%-ით გაიზარდა ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები, მაშინ როდესაც იურიდიული პირების მიმართულებით 9.1%-იანი კლება დაფიქსირდა. ფიზიკური პირების დაკრედიტებაში ყველაზე მაღალი ზრდის ტემპით სამომხმარებლო სესხები გამოირჩეოდა - 21% წლიური ზრდა; ლომბარკო - 5.5%; სოფლის მეურნეობა - 5.4%; განვადება - 4.4%; სხვა სახის სესხები - 3.3%. კლება დაფიქსირდა შემდეგ სექტორებში: ვაჭრობა და მომსახურება - 2.8%; ინვანსი სესხები - 20.1%.

2023 წელს მიკროსაფინანსო ბაზრის მთლიანი პორტფელის ზრდამ 8.2% შეადგინა. სექტორის წარმომადგენლების შემთხვევაში კი მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება: სვის კაპიტალი - 15.5%, ემბისი - 11.9%, კრისტალი - 10.6%, რიკო ექსპრესი - 9.3%, ლიდერ კრედიტი - 7.6%.

მთლიანი სესხები






### მიკროსაფინანსო სექტორის წილობრივი გადანაწილება


2023 წლის ბოლოს მონაცემებით, პორტფელის (მთლიანი სესხები) მოცულობის მიხედვით, სექტორის წარმომადგენლების წილობრივი გადანაწილება შემდეგია: რიკო ექსპრესი - 27%, კრისტალი - 26%, სვის კაპიტალი - 12%, ემბისი - 6%, ლიდერ კრედიტი - 5%, ლაზიკა კაპიტალი - 3%, ხოლო დანარჩენ 28 მისოს ბაზრის პორტფელის 21% უკავია.

### სექტორის და უშუალო კონკურენტების რისკები

სექტორის რისკები გაუმჯობესების ტენდენციით ხასიათდება, რაც რისკების პარამეტრების კლებაში აისახება. 2023 წლის ბოლოს მონაცემებით სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი მთლიან სესხებთან მიმართებაში 3.7% იყო, რაც ნაკლებია 2022 წლის მონაცემზე - 4.8%. ამავე პერიოდში ვადაგადაცილების გარეშე სესხების წილი მთლიან პორტფელში 93.7%-ს შეადგენდა, მაშინ, როცა 2022 წლის ბოლოს აღნიშნული მაჩვენებელი 92.5% იყო. შემცირებულია უიმედო კატეგორიაში კლასიფიცირებული სესხების წილიც - 2023 წლის ბოლო 2.2%, ხოლო 2022 წლის ბოლოს 2.6%.



### ბალანსის სტრუქტურა: სესხების რეზერვი/მთლიანი სესხები



2023 წლის ბოლოს მონაცემებით ემბისის ბაზართან და ბაზრის უმსხვილეს მოთამაშებთან მიმართებაში აქვს ერთ-ერთი ყველაზე დაბალი და სტაბილური რისკების პროფილი, რაც აისახება სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის მთლიან პორტფელთან მიმართებაში დაბალი მაჩვენებლით.




# ბიზნეს მოდელი და სტრატეგია



**ბიზნეს მოდელი და სტრატეგია**

კომპანიის ხედვა ეფუძნება გრძელვადიანი, გამჭვირვალე, ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობის ჩამოყალიბებას მომხმარებლებთან, კოლეგებთან, საზოგადოებასა და ინვესტორებთან.



კომპანიის სტრატეგია ორიენტირებულია შექმნას შესაძლებლობები მცირე მეწარმეებისა და ფერმერების განვითარებისთვის და პასუხისმგებლიანი დაკრედიტების გზით ხელი შეუწყოს მიკრო ბიზნესის სტაბილურობას. ემბისის კონკურენტული უპირატესობა მომხმარებელზე ფოკუსირებული ბიზნეს მოდელია, რომელიც მიზნად ისახავს მიკროსაფინანსო სექტორში საუკეთესო მომსახურების შეთავაზებას. კომპანია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საერთაშორისო მართვის სტანდარტებითა და მოწინავე პრაქტიკით, მუდმივ რეჟიმში ავითარებს პროდუქტებს და აუმჯობესებს მომსახურებას, ხელს უწყობს ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის ზრდას.

სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილია თანამშრომლების პროფესიული განვითარება, ცოდნაში ინვესტირება და მათთვის საინტერესო კარიერული შესაძლებლობების მხარდაჭერა, ასევე კორპორაციული სოციალური და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა. ამასთან, ყოველთვის ვცდილობთ სანდო პარტნიორობა გაუწიოთ ჩვენს პარტნიორებს და ინვესტორებს.

**სტრატეგიული პრიორიტეტები**

- ფინანსური პროდუქტების განვითარება და ეფექტიანი გამოყენება;
- ინოვაციური მიდგომების ინიცირება და მომსახურების გაციფრულება;
- განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლა და მიკრო ბანკის ლიცენზიის მიღება;
- თანამშრომელთა განვითარება;
- ფინანსური განათლების ხელშეწყობა.

**ფინანსური პროდუქტების განვითარება და ეფექტიანი გამოყენება**

კომპანია წარმოდგენილია 17 სერვის ცენტრით საქართველოს 8 რეგიონში. მომდევნო წლებშიც იგეგმება სერვის ცენტრების ქსელის გაფართოება, თუმცა

კომპანიის სტრატეგიის შესაბამისად მთავარ ამოცანას წარმოადგენს ციფრული ტრანსფორმაცია, განსაკუთრებით ძირითად პროდუქტებში გაყიდვების განტვირთვის ზრდა და პროდუქტიულობის გაუმჯობესება პროცესების გაციფრულების გზით.

ემბისის მომხმარებლები მომსახურებას იღებენ როგორც სერვის ცენტრებში, ასევე დისტანციური არხების საშუალებით. მომსახურება მოიცავს საკრედიტო და არასაკრედიტო პროდუქტების ფართო სპექტრს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის. ორივე მიმართულებით მუდმივად მიმდინარეობს როგორც არსებული პროდუქტების სრულყოფა, ასევე ახალი პროდუქტებისა და სერვისების დამატება. ემბისი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თავისი პროდუქტებისა და მომსახურების, შიდა სისტემების, პროცედურებისა და სხვადასხვა პოლიტიკის შემუშავებას, განახლებას, გამართულ ინტეგრაციას და უწყვეტ მონიტორინგს.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმას, რომ ერთ-ერთი საუკეთესო მომსახურების პროვაიდერი ვიყოთ საფინანსო ბაზარზე. აღნიშნული მიზნის მისაღწევად და წარმატებით განსახორციელებლად კომპანია მუდმივად სწავლობს მომხმარებელთა საჭიროებებს, ატარებს შესაბამის გამოკითხვებსა და კვლევებს, აქვს სისტემატური პირდაპირი კომუნიკაცია მომხმარებლებთან და ეფექტიანად იყენებს უკუკავშირის არხებს. ინფორმაცია მუშავდება და ანალიზდება, რაც შემდგომ გვეხმარება, რათა მომხმარებელთა მოთხოვნების შესაბამისად გარდავქმნათ პროდუქტები და მომსახურება და მოვარგოთ ისინი მათ ინტერესებს. მსგავსი მიდგომა საშუალებას გვაძლევს, დავაკმაყოფილოთ მომხმარებელთა მოლოდინი, გავითვალისწინოთ მათი მოთხოვნები და შევინარჩუნოთ მომსახურების მაღალი სტანდარტი.

**ინოვაციური მიდგომების ინიცირება და მომსახურების გაციფრულება**

ემბისისთვის მნიშვნელოვანია ინოვაციების წახალისება და საინტერესო იდეების მდგრად ფინანსურ მოდელად გარდაქმნის ხელშეწყობა, ისეთი ახალი პროდუქტების შეთავაზება, რომლებიც სწრაფი განვითარების შესაძლებლობას იძლევა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, ინოვაციური პროდუქტების სწრაფად და ეფექტიანად დანერგვა და მომხმარებლებისთვის შეთავაზება. ემბისი მუდმივად მუშაობს ციფრული შესაძლებლობების, დისტანციური პროდუქტებისა და მომსახურების გაუმჯობესებაზე, ინოვაციური გადაწყვეტილებების განვითარებაზე როგორც მომხმარებლების, ასევე თანამშრომლების და მიზნობრივი ჯგუფების ხელშეწყობისთვის.

### მიკრო ბანკის ლიცენზიის მიღება

2024 წელს ემბისი გეგმავს მიკრო ბანკის ლიცენზიის მოპოვებას. რადგან ძირითადი საკანონმდებლო ჩარჩო და მოთხოვნები წინასწარ იყო ცნობილი, კომპანიამ მანამდე დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები და ბიზნეს გეგმა სრულად მოარგო კანონპროექტში გაწერილ კრიტერიუმებს და მოთხოვნებს, განსახორციელებელ ცვლილებებსა და ქმედებებს.

მიკრო ბანკად გარდაქმნა ახალ მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ქმნის, შესაბამისად ემბისიმ დაიწყო მუშაობა ბრენდის ცვლილებაზე, კომპანიის სტრატეგიის განახლებაზე, მომხმარებელთა გაფართოებული სეგმენტისთვის სრულიად ახალი პროდუქტებისა და სერვისების შეთავაზებაზე, გაყიდვების ახალი არხების და მეთოდების ჩამოყალიბებაზე, ციფრული ტრანსფორმაციის ეტაპებზე, ახალი სტრუქტურული ერთეულების ჩამოყალიბებაზე. მიკრო ბანკად ტრანსფორმაცია ხელს შეუწყობს საკრედიტო პორტფელის და არასაკრედიტო შემოსავლების ზრდას. მოლოდინი გააქვს, რომ საბანკო ლიცენზია დადებითად იმოქმედებს მომხმარებელთა რაოდენობის მატებისა და შენარჩუნების კუთხით.

ლიცენზირების პროცესში, ვფიქრობთ, უპირატესობას მოგვანიჭებს ცვლილებებთან სწრაფი ადაპტაცია, სიახლეების დროული და ხარისხიანი დანერგვა, დიჯიტალიზაციაში გააზრებული და თანმიმდევრული ინვესტიციების განხორციელება, მომსახურების მაღალი დონე და მომხმარებელზე ფოკუსირების შენარჩუნება, ბაზრის საჭიროებებზე მორგებული პროდუქტებისა და მომსახურების დანერგვა, ძირითადი ბიზნესპროცესების გაციფრულება.

გვჯერა, რომ ემბისისი დირექტორატის და მაღალი რგოლის მენეჯერების მრავალწლიანი საბანკო გამოცდილება მნიშვნელოვანი საყრდენი ძალა იქნება მიკრო ბანკად ტრანსფორმაციის გზაზე.

### თანამშრომელთა განვითარება

კომპანიის წარმატების საფუძველი და ყველაზე დირექტული აქტივი სწორედ თანამშრომელთა გუნდია. ამიტომაც მენეჯმენტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მათთვის უსაფრთხო პირობების, განვითარების ხელშეწყობის, წამახალისებელი, კომფორტული და მეგობრული საშუაო გარემოს შექმნას. პერსონალის მართვის სტრატეგია მთლიანად ორიენტირებულია მაღალი მოტივაციის სისტემაზე და ჯანსაღი კონკურენციის ხელშეწყობაზე. ემბისი უზრუნველყოფს თანამშრომლების განვითარებაზე ზრუნვას, ხელს უწყობს მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენას, ქმნის პირობებს მათი პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლისათვის. კომპანია ფინანსურად უჭერს მხარს კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ტრენინგებს. თანამშრომელთა კვალიფიკაცია და კომპეტენტურობა მნიშვნელოვანი ფაქტორია კომპანიის

განვითარებისთვის. ემბისის გუნდი პროფესიონალიზმით, ცოდნით, გამოცდილებითა და მაღალი მოტივაციით გამოირჩევა.


### ფინანსური განათლების ხელშეწყობა

საქართველოს მოსახლეობის, განსაკუთრებით კი რეგიონებში მცხოვრები მოქალაქეების, ფინანსური განათლების ამაღლება ემბისის ერთ-ერთი პრიორიტეტული და სტრატეგიაში ასახული ამოცანაა, რამდენადაც სწორედ ფინანსური განათლებაა ის საბაზისო უნარი, რომლის მეშვეობითაც მიიღწევა ფინანსური კეთილდღეობა და სტაბილურობა. ემბისიში არსებობს მდგრადი პროექტი „ფინანსური მრჩეველი“, რომლის ფარგლებშიც მოსახლეობას, მეწარმეებს, ფერმერებს საშუალება ეძლევათ მიიღონ რჩევები და გაეცნონ შესაბამის კონტენტს, ასევე პროექტის ფარგლებში დაესწრონ ტრენინგებსა და ვორქშოპებს.

„ფინანსური მრჩეველი“ მიზნად ისახავს გუნდის გამოცდილება და ცოდნა გაუზიაროს ადამიანებს, ვისაც ეს სჭირდება. ემბისისთვის მნიშვნელოვანია პროგრესი, წარმატება და მდგრადი განვითარება, შესაბამისად, მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს სტრატეგიის განხორციელებაზე დაკვირვება, კომპანიის მიერ შემუშავებული მიზნების და ძირითადი მაჩვენებლების შესაბამისობის კონტროლი. ჩვენ მიზნად დავისახეთ მომხმარებლებს გავუწიოთ მათ საჭიროებებზე მორგებული, გამჭვირვალე და მაღალი ხარისხის მომსახურება, რათა ხელი შევუწყოთ სოციალური სარგებლის მაქსიმიზაციას.



ძირითადი  
შედეგების  
მიმოხილვა





გამოწვევებით სავსე წლების შემდეგ, 2023 წელი ემბისისთვის პოზიტიურად გარდამტეხი წელი აღმოჩნდა. კომპანიამ ძირითადი საქმიანობით მიღებული შედეგები გაუმჯობესა. 2023 წლის ბოლოს, 2022 წლის დეკემბერთან მიმართებაში, მთლიანი სასესხო პორტფელი 13%-ით გაიზარდა და 105,619 ათასი ლარი შეადგინა. სასესხო პორტფელის გაზრდა კომპანიის სერვის ცენტრების ეფექტურობის გაუმჯობესებით გახლდათ გამოწვეული. გარდა ამისა, გაიზარდა ემბისის აქტიური მსესხებლების რაოდენობაც და ზრდის მაჩვენებელმა საანგარიშგებო წლის ბოლოსთვის 8% შეადგინა. ემბისის აქტიური მსესხებლების რაოდენობა დეკემბრის თვის მონაცემებით 8,624 იყო. აღსანიშნავია, რომ სასესხო პროდუქტების მომხმარებელთა 65%-ს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში არსებული სერვის ცენტრები ემსახურებიან.

2023 წლის ბოლოსთვის ემბისის მთლიანი ვალდებულებები 7%-ით გაიზარდა, რისი მიზეზიც მოზიდული სახსრების მოცულობის 7%-ით (5,832 ათასი ლარი) ზრდა გახლდათ. მიუხედავად საფინანსო ბაზარზე გაზრდილი საპროცენტო განაკვეთებისა, ემბისიმ ახალი სესხები წინასთან შედარებით უკეთესი, უფრო დაბალი საპროცენტო განაკვეთებით მოიზიდა, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა მოზიდული სესხების ხარჯი.

2023 წლის ბოლოსთვის, ემბისის მთლიანი კაპიტალი, 2022 წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებაში 3%-ით გაიზარდა, რისი მიზეზიც აკუმულირებული მოგების ზრდა იყო. 2023 წლის აკუმულირებულმა მოგებამ 2,031 ათასი ლარი შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება 2022 წლის შედეგს - 2022 წელს კომპანიის აკუმულირებული წმინდა მოგება 657 ათასი ლარი გახლდათ.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კაპიტალზე ამონაგების მაჩვენებელიც, რომელიც 2023 წლის ბოლოსთვის 10%, 2022 წლის ანალოგიურ პერიოდში კი 3.3%-ს შეადგენდა. მოგების გენერაციაზე დადებითი გავლენა იქონია შემცირებულმა საპროცენტო და საოპერაციო ხარჯებმა, მთლიანი სასესხო პორტფელის ზრდამ და შესაბამისად, გაზრდილმა საპროცენტო და საკომისიო შემოსავლებმა.

მცირედით გაიზარდა მთლიანი სესხების რისკის მაჩვენებელი. 2023 წლის ბოლოსთვის ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი 1,546 ათასი ლარი (საშუალო მთლიანი სესხების 1.6%) იყო, რაც გამოწვეულია 2022 წლის დეკემბერთან მიმართებაში 0.8%-ით გაზრდილი სესხების შესაძლო დანაკარგების მაჩვენებლით, რომელიც პერიოდის ბოლოსთვის მთლიანი სესხების 4.2%-ს შეადგენდა.

2023 წლის ბოლოსთვის, ემბისი წარმატებით ასრულებდა საქართველოს ეროვნული ბანკისა და სხვა პარტნიორი ორგანიზაციების დაწესებულ კოვენანტებს - როგორც საზედამხედველო კაპიტალისა და ლიკვიდობის

კოფიციენტების მოთხოვნებს, ასევე დაგირავებული აქტივების კოფიციენტს, რომელზეც ორგანიზაციას ეროვნული ბანკისაგან მოპოვებული ჰქონდა გრძელვადიანი ვივერი და 2022 წლის ბოლოს არაუზრუნველყოფილი ობლიგაციების გამოშვების შემდეგ გამოასწორა. ემბისი 2023 წელსაც აგრძელებდა ადგილობრივი კომერციული ბანკებიდან ნასესხები სახსრების უზრუნველყოფის კოფიციენტის შემცირებას, რაც ბანკების მხრიდან კომპანიისადმი გაზრდილი სანდოობის მაჩვენებელია.

გასულ წლებში არსებული სირთულეების მიუხედავად, ემბისიმ მიღწეული შედეგებით მრავალჯერ დაამტკიცა, რომ არის სტაბილური, განვითარებაზე ორიენტირებული ორგანიზაცია, რომელიც ინარჩუნებს დაბალი რისკების მაჩვენებლებს და ასევე, მაღალ სოციალურ პასუხისმგებლობას იჩენს თანამშრომლების, მომხმარებლების, ფართო საზოგადოებისა და იმ გარემოს მიმართ, რომელშიც უწევს ოპერირება. 2023 წელს გაზრდილმა კონკურენტულმა გარემომ, საერთაშორისო გამოწვევებმა და 2022 წლისა და 2023 წლის პირველი ნახევრის დაბალი მომგებიანობის მაჩვენებელმა, საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია Scope Rating-ის მიერ მინიჭებული საკრედიტო რეიტინგის ცვლილება გამოიწვია და B+ მაჩვენებლიდან B მაჩვენებელზე შემცირდა. მომავალ საანგარიშგებო პერიოდებში მოსალოდნელია კომპანიის შედეგების მნიშვნელოვნად გაუმჯობესება და ორგანიზაცია ეცდება პირვანდელი რეიტინგის აღდგენას.

# ინვესტორებთან ურთიერთობა და დაფინანსება



2023 წელს, ხანგრძლივი თანამშრომლური ურთიერთობებისა და სტაბილური განვითარების დინამიკის შენარჩუნებით, ემბისი არსებული თუ ახალი ადგილობრივი კომერციული ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციებისგან აგრძელებდა გრძელვადიანი სესხების მიღებას. კომპანიამ მოიზიდა როგორც ახალი გრძელვადიანი სესხები, ასევე შეძლო ვადადამდგარი სესხების პერიოდის გაგრძელება ან ახალი სესხებით რეფინანსირება.

2023 წელს, არსებული ორი პარტნიორი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტისგან მოხდა 3,000 ათასი აშშ დოლარისა და 2,567 ათასი ლარის მოზიდვა, ხოლო ახალი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტისგან კომპანიამ 7,141 ათასი ლარის ახალი სესხი მიიღო.

ემბისი ორიენტირებულია მაქსიმალურად შეამციროს სავალუტო რისკები და გაზარდოს მოზიდული სახსრების წილი ეროვნულ ვალუტაში. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ბაზარზე მკვეთრად გაიზარდა აშშ დოლარში მოზიდული სესხების განაკვეთები, კომპანიამ 2023 წელს კონკურენტულ ფასებში მოიზიდა ახალი რესურსი უცხოურ ვალუტაში. აშშ დოლარში მოზიდული სესხების საშუალო განაკვეთი 7.1% იყო. 2023 წლის ბოლოს, საერთაშორისო ინსტიტუტებისგან მოზიდულმა სესხების ჯამმა 36,842 ათასი ლარი შეადგინა.

გარდა ამისა, ემბისიმ ქართული კომერციული ბანკებისგან 11,750 ათასი ლარის სესხები გაუმჯობესებული საპროცენტო განაკვეთებით მიიღო. დაფინანსების ნაწილი მიმართული იყო ვადადამდგარი ვალდებულებების დასაფარად. ბანკებისგან მოზიდული სესხები ცვლად განაკვეთშია და დაკავშირებულია ლარის რეფინანსირების განაკვეთზე, რომელიც საანგარიშგებო და შემდგომ პერიოდებში მატერიალურად შემცირდა და დადებითი გავლენა იქონია ორგანიზაციის საპროცენტო ხარჯების დაზოგვაზე. ჯამში, ქართული კომერციული ბანკებისგან მიღებული სესხების და მათ მიერ 2022 წელს შეძენილი ობლიგაციების ნაშთი, 2023 წლის ბოლოსთვის 40,305 ათასი ლარი იყო.

ემბისი დაარსების დღიდან წარმატებით თანამშრომლობს ფიზიკურ და იურიდიულ პირებიდან მოზიდული სესხების მიმართულებით. აღნიშნული პირების ნაწილი ორგანიზაციის აქციონერები ან მათთან დაკავშირებული პირები არიან, ნაწილი კი ემბისისადმი მაღალი ნდობით გამოირჩევა და წლების განმავლობაში აგრძელებს კომპანიასთან პარტნიორობას. 2023 წლის ბოლოს ფიზიკური და იურიდიული პირებისგან მოზიდული სესხების ჯამმა 7,808 ათასი ლარი შეადგინა.


2023 წელი ემბისისთვის მნიშვნელოვანი იყო ტექნიკური მხარდაჭერის მოპოვების კუთხითაც. წლის პირველ ნახევარში წარმატებით დასრულდა 2022 წელს დაწყებული აგრო პროდუქტის განვითარების პროექტი, რომლის

ბიუჯეტი 40 ათას ლარამდე გახლდათ და ძირითადი ნაწილი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის მიერ დაფინანსდა. ასევე, საერთაშორისო პარტნიორის მხარდაჭერით, ემბისიმ 2023 წელს დაიწყო აგრო პროდუქტის და კომპანიის ციფრული სერვისების განვითარების პროექტი, რომლის ბიუჯეტი 400 ათას ლარამდეა და 2024 წლის ბოლოსთვის დასრულდება.

ემბისი წარმატებით აგრძელებს პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობას. კომპანიამ საანგარიშგებო პერიოდის შემდეგაც მოიპოვა მატერიალური ფინანსური მხარდაჭერა როგორც არსებული პარტნიორი ორგანიზაციებისგან, ასევე ახალი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან. ტექნიკური მხარდაჭერისა და გრანტების მოპოვება, ორგანიზაციის განვითარების კუთხით, მომავალ პერიოდშიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.



# ძირითადი რისკები და გაურკვევლობები





რისკების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა და ძირითადი პრინციპები

რისკის მართვის პროცესში ჩაბმულია კომპანიის ყველა თანამშრომელი, რაც რისკის მართვის სისტემის უმნიშვნელოვანესი ნაწილია და ხელს უწყობს კომპანიის მდგრადობას. თითოეულ სტრუქტურულ ერთეულს მკაფიოდ აქვთ განსაზღვრული მისი როლი და პასუხისმგებლობა რისკების მართვის ნაწილში, რაც პროცესების ეფექტიანობას უზრუნველყოფს. რისკების მართვა ხორციელდება რისკების მართვის ერთიანი სისტემის ფარგლებში, რომლის მიზანია:

- არსებული რისკებისა და საფრთხეების დროული იდენტიფიცირება;
- შესაძლო დანაკარგების პრევენცია;
- დამდგარი ინციდენტების ეფექტიანი მართვა;
- მისოს მიზნების მიღწევის ხელშეწყობა;
- კონტროლის გაუმჯობესება;
- ოპერაციების ეფექტიანობის გაზრდა;
- ორგანიზაციის მდგრადობის ხელშეწყობა;
- მარეგულირებელ მოთხოვნებსა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს ადეკვატურ ზედამხედველობას, ანგარიშვალდებულებასა და მოვალეობათა მკაფიო განაწილებას. რისკების მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც კომპანიის სტრატეგიას განსაზღვრავს და მასში გაწერილი მიზნების შესრულებას უწყევს ზედამხედველობას, ხოლო დირექტორატი მისოს ყოველდღიური პროცესების მართვაში მონაწილეობს.

ინდივიდუალური რისკების მართვა ყოველდღიურ რეჟიმში დამყარებულია „დაცვის სამი ხაზის“ პრინციპზე, რომელიც უზრუნველყოფს ვალდებულებების და პასუხისმგებლობების გამიჯვნას, რათა მიღწეულ იქნეს მთლიანი რისკების ეფექტიანი მართვა, რომელიც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მისოს შიდა კონტროლის ჩარჩოს გაძლიერებას.

დაცვის სამხაზიანი მიდგომა აცალკევებს მფლობელობას/რისკის მართვას იმ ფუნქციებისგან, რომლებიც ახდენენ რისკების ზედამხედველობას და დამოუკიდებელ აუდიტს:

**ბიზნესის ხაზი** - მისოს სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც ფლობენ და მართავენ რისკს.

**დაცვის მეორე ხაზი** - დამოუკიდებელია დაცვის პირველი ხაზისგან და მონიტორინგს უწყევს კომპანიის მიერ რისკის აღების პროცესს, ბიზნესის ხაზისგან დამოუკიდებლად აფასებს რისკებსა და მათთან დაკავშირებულ საკითხებს.

**დაცვის მესამე ხაზი** - მისოში დაცვის მესამე ხაზს წარმოადგენს შიდა აუდიტი. შიდა აუდიტი დამოუკიდებელია დაცვის პირველი და მეორე ხაზისგან და მისი ძირითადი ფუნქცია კომპანიის შიდა კონტროლის სისტემის, დაცვის პირველი და მეორე ხაზების და რისკების მართვის მთლიანი ჩარჩოს თანამიმდევრულობისა და ეფექტიანობის შეფასებაა.

რისკების მართვა

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს მისოს რისკების აპეტიტს. რისკების აპეტიტის შემუშავებისას გათვალისწინებულია კომპანიის სტრატეგია, კაპიტალი, ფინანსური გეგმები და ანაზღაურების პრაქტიკები.

რისკის აპეტიტი ითვალისწინებს ყველა მატერიალურ რისკს, რაც უკავშირდება მისოს პროდუქტებს, საქმიანობას, პროცესებს, სისტემებს, ოპერაციებს, სტრატეგიას - განსაზღვრავს როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ მაჩვენებლებს/საზომებს, რომელთა საშუალებითაც ხდება რისკის აპეტიტის ფარგლებში საქმიანობის მისოს სტრატეგიასთან შესაბამისობის შეფასება.

რისკის აპეტიტი ადგენს რიცხობრივი და ხარისხობრივი რისკის ინდიკატორებს, როგორც ინდივიდუალურ, ასევე აგრეგირებულ დონეზე და მათ დასაშვებ საზღვრებს, რომლის ფარგლებშიც მისომ უნდა წარმართოს თავის ბიზნეს საქმიანობა და რომელთა აღების საშუალებაც აქვს მისოს არსებული კაპიტალის, რისკების მართვისა და კონტროლის მექანიზმებით, განსაზღვრული სტრატეგიის და იმ მუზღუდვების გათვალისწინებით, რაც დაწესებულია აქციონერების, კრედიტორების, მარეგულირებელი და სხვა დაინტერესებული პირების მიერ.


რისკის აპეტიტის ჩარჩო მოიცავს რისკების შეფასებას და მართვას ყველა მატერიალური რისკისთვის, რომელიც უზრუნველყოფს რისკის დროულ გამოვლენას, ინფორმაციის გავრცელებასა და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას რისკის დადგომამდე.

რისკების აპეტიტი გათვლილია მისოს მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივებზე. მისი შემუშავებისას გათვალისწინებულია კონკურენტული გარემო, საზედამხედველო ხედვები, მისოს გრძელვადიანი ინტერესები, ორგანიზაციის ყველა რისკის პოზიცია, კომპანიის ზომა, კომპლექსურობა და რისკის პროფილი.

რისკების აპეტიტზე დაყრდნობით კომპანიაში შემუშავებულია რისკების მართვის საქმიანობასთან დაკავშირებული დეტალური ინსტრუქციები და პროცედურები, რომლებიც განსაზღვრავენ რისკების მართვის სტანდარტებსა და კრიტერიუმებს, თანამშრომლების უფლებამოსილებებსა და მოვალეობებს, მისოს რისკების ეფექტური მართვის უზრუნველსაყოფად.

ასევე, რისკების ეფექტიანი მართვის პროცესი მოიცავს რისკების იდენტიფიცირებას, შეფასებას, სასურველი დონის დადგენას, მონიტორინგს და რისკების მიტიგაციის ქმედებების განხორციელებას, იმ შემთხვევაში თუ ის სცილდება მისოს მიერ დადგენილ საზღვრებს.

# კორპორაციული მდგრადობა



კორპორაციული მდგრადობა ემბისის საქმიანობის და ბიზნეს სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია. კომპანია აქტიურად აგრძელებს აღნიშნული მიმართულებით მუშაობას.

2023 წელი კორპორაციული მდგრადობის კუთხით განსაკუთრებული იყო. ემბისიმ მოიპოვა არაერთი მნიშვნელოვანი ჯილდო და აღიარება როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

### ჯილდოები

#### ემბისი "Meliora 2022"-ის გრანპრის მფლობელია

ემბისი "საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსი Meliora 2022"-ის გამარჯვებული და გრანპრის მფლობელი გახდა კატეგორიაში: "წლის პასუხისმგებელი მცირე და საშუალო კომპანია".

გამარჯვებულის სტატუსი ორგანიზაციას განხორციელებული მნიშვნელოვანი ინიციატივებისა და მიდგომებისთვის მიენიჭა, კერძოდ: პასუხისმგებლობა თანამშრომელთა და მომხმარებელთა მიმართ, გარემოს დაცვა და საზოგადოების მხარდაჭერა.

აღსანიშნავია, რომ პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსი საქართველოში უკვე ოთხჯერ ჩატარდა. ღონისძიების მიზანია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება და საზოგადოებაში მისი პოპულარიზაცია.

ტრადიციულად, „Meliora 2022“-ის ჟიური წამყვანი უცხოელი და ქართველი ექსპერტებისგან შედგებოდა.



### ეთერ ჩაჩიბაია

#### ემბისის ოპერაციების დირექტორი

„ემბისისთვის მიღებული ჯილდო ძალიან დიდი სტიმული და მოტივაციაა გააძლიეროს კორპორაციული პასუხისმგებლობის მიმართულებით მუშაობა და განვითარება. პირველ რიგში, მსურს, კომპანიის თანამშრომლებს მივულოცო, რადგან აღნიშნული გამარჯვება სწორედ მათი შრომისა და ძალისხმევის შედეგია.“

რა თქმა უნდა, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო კონკურსის ჟიურისა და ორგანიზატორს - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრს. ასევე, მადლობა კონკურსის მხარდამჭერებს - ევროკავშირსა და კონრად ადენაურის ფონდს, რომლებიც ქვეყანაში კორპორაციული პასუხისმგებლობის განვითარებას აქტიურად უწყობენ ხელს.“





### ეთერ ჩაჩიბაია SDG პიონერის გლობალური რაუნდის გამარჯვებულია

ემბისის ოპერაციების დირექტორი, ეთერ ჩაჩიბაია გაეროს გლობალური შეთანხმების SDG პიონერის როგორც ადგილობრივი, ასევე გლობალური რაუნდის გამარჯვებული გახდა.

ეთერ ჩაჩიბაიას ხელმძღვანელობით კომპანია საკუთარ ოპერაციებში მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრირებას აქტიურად ახორციელებს და სოციალური, ეკონომიკური თუ ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით, მუდმივად ცდილობს მდგრადი განვითარების დღის წესრიგში წვლილის შეტანას.

19 სექტემბერს, ქალაქ ნიუ იორკში, გაეროს გლობალური შეთანხმების ლიდერთა სამიტი გაიმართა, სადაც გლობალური რაუნდის SDG პიონერები გამოავლინეს.

გაეროს გლობალური შეთანხმება ყოველწლიურად აღიარებს 12 ბიზნეს ლიდერს, რომლებიც საკუთარ საქმიანობაში ათი პრინციპის წარმატებული იმპლემენტაციით ხელს უწყობენ კომპანიის პასუხისმგებლობიან საქმიანობას და გლობალური მიზნების მიღწევას.

### ემბისი "BARTA 2023"-ის საპატიო ჯილდოს მფლობელია

ემბისი უკვე მესამედ საუკეთესო წლიური ანგარიშისა და გამჭვირვალობის კონკურსის "BARTA 2023"-ის საპატიო ჯილდოს მფლობელი გახდა.

კომპანიამ აღნიშნულ ნომინაციაში გამარჯვება მცირე და საშუალო ორგანიზაციებს შორის მოიპოვა.

ყოველწლიური ჯილდოს მიზანია ანგარიშგების ახალ წესებთან შესაბამისობის ხელშეწყობა, კომპანიებს შორის ჯანსაღი კონკურენციის წახალისება და კორპორაციული ანგარიშგების საერთო სტანდარტის ამაღლება ქვეყნის მიერ ინვესტორთა ნდობის ზრდის პროცესში როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.



### ემბისი კორპორაციული მდგრადობის ჯილდოს კონკურსის გამარჯვებულია

2023 წელს ემბისიმ გამარჯვება მოიპოვა კორპორაციული მდგრადობის ჯილდოს კონკურსში, პროექტით: ფინანსური განათლების ხელშეწყობა ახალგაზრდებში, მცირე და საშუალო ბიზნესის კატეგორია, ნომინაცია SDG4 (ხარისხიანი განათლება).

### ეთერ ჩაჩიბაია

#### ემბისის ოპერაციების დირექტორი

"მოხარულები ვართ, რომ კორპორაციული მდგრადობის ჯილდო სწორედ განათლების ხელშეწყობის მიმართულებით მივიღეთ. ვფიქრობთ, ჩვენ როგორც ფინანსურ ინსტიტუტს, შეგვიძლია მნიშვნელოვანი როლი შევასრულოთ ფინანსური განათლების ხელშეწყობის საქმეში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებში".



ფინანსური განათლება

ემბისი განაგრძობს საზოგადოებაში ფინანსური განათლების ხელშეწყობას. 2023 წელს, აღნიშნული მიმართულებით, კომპანია აქტიურად თანამშრომლობდა და არაერთი საინტერესო ინიციატივა განახორციელა საქართველო ეროვნულ ბანკთან, საგანმანათლებლო პლატფორმა „ფინედუსა“ და USAID-ის „სამოქალაქო განათლების პროგრამასთან“ ერთად.

ფულის გლობალური კვირეულის აღნიშვნა

2023 წელს, ემბისი, საქართველოს ეროვნული ბანკისა და საგანმანათლებლო პლატფორმა "ფინედუს" ინიციატივით, ფულის გლობალური კვირეულის აღნიშვნის კამპანიას მეცხრედ შეუერთდა. კომპანიის 15 დესპანი, საქართველოს მასშტაბით, 10-ზე მეტი სკოლის მესამე-მეცხრე კლასის მოსწავლეებს შეხვდა და ცნობიერების ამაღლების მიზნით, ფულის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე სახალისო გაკვეთილები ჩაუტარა. ღონისძიებაში მონაწილეობა 300-ზე მეტმა ბავშვმა მიიღო. ღია გაკვეთილები ჩატარდა თბილისის, მარნეულის, ზუგდიდის, ქუთაისის, სამტრედიის, რუსთავისა და ახალციხის საჯარო სკოლებში. შეხვედრაზე ემბისის დესპანებმა ბავშვებს გაუზიარეს ინფორმაცია ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ფულის ისტორია, პირადი ფინანსების მართვის მნიშვნელობა, დაზოგვა, გარემოს და საზოგადოების მიმართ პასუხისმგებლიანი ქმედებები და სხვა.

პოსტერებისა და სლოგანების კონკურსის მხარდაჭერა

ემბისი ფულის გლობალური კვირეულის ფარგლებში გამართული სლოგანებისა და პოსტერების კონკურსის მხარდაჭერი გახლდათ.

კონკურსი "დაგეგმე შენი ფული, შექმენი შენი მომავალი" - საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური განათლების პორტალ "ფინედუს" ინიციატივით ჩატარდა და მისი მიზანი ფინანსური განათლების, გარემოსა და საზოგადოების მიმართ პასუხისმგებლიანი ქმედებების, მდგრადი განვითარების საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება იყო.

კონკურსის შედეგად, კატეგორიებში - "ქიურის რჩეული" და "მომხმარებლის რჩეული" - ჯამში 10 გამარჯვებული გამოვლინდა. ქიურის შემადგენლობაში, სხვა საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლებთან ერთად, ემბისის გრაფიკული დიზაინერი - მარი პაპუაშვილი შედიოდა.

გარდა ამისა, ემბისიმ კონკურსის ერთ-ერთ გამარჯვებულს (კატეგორია: „მომხმარებლის რჩეული“), ქეთი აფრიაშაშვილს 500 ლარის ოდენობით ფულადი ჯილდო გადასცა.



დაზოგვის საერთაშორისო კვირეულის აღნიშვნა

ტრადიციულად, დაზოგვის საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში, ემბისის 15 დესპანი საქართველოს 10 სკოლის 400-მდე ბავშვს შეხვდა და ფულის დაზოგვის თემატიკაზე ცნობიერების ამაღლების მიზნით სახალისო გაკვეთილები ჩაუტარა.

აქტივობა თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სამტრედიის, გორის და რუსთავის სკოლების მეოთხე-მეცხრე კლასის მოსწავლეებისთვის გაიმართა. გაკვეთილზე ბავშვებისთვის ფულის დაზოგვის მეთოდებზე, დანაზოგების უსაფრთხოებაზე, გონივრული ხარჯვის პრინციპებსა და სხვა მნიშვნელოვან ფინანსურ საკითხებზე გახლდათ საუბარი.

დაზოგვის საერთაშორისო კვირეული საქართველოს ეროვნული ბანკის და საგანმანათლებლო პლატფორმა „ფინედუს“ ინიციატივით 2012 წლიდან აღინიშნება. კვირეულის მიზანია ახალგაზრდებსა და ბავშვებში ფულის დაზოგვის შესახებ ცნობიერების ამაღლება.

ახალგაზრდებში ფინანსური განათლების ხელშეწყობა

ემბისი განაგრძობს ახალგაზრდების მხარდაჭერას და 2023 წელს, USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამასთან თანამშრომლობის ფარგლებში, სკოლის მოსწავლეებს პროფესიული სტაჟირება შესთავაზა. სკოლის მოსწავლეების სტაჟირება აჭარის რეგიონიდან დაიწყო და ქვემო ქართლისა და იმერეთის რეგიონებში გაგრძელდა. პროგრამა განხორციელდა ამერიკული ორგანიზაცია PH International-ის, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით.

სოციალური საწარმოების მხარდაჭერა

ემბისი კორპორაციული მდგრადობის სტრატეგიის ფარგლებში რამდენიმე წელია სოციალური საწარმოების ფინანსურ და არაფინანსურ მხარდაჭერას ახორციელებს და უკვე არაერთ საწარმოსთან თანამშრომლობის გამოცდილება აქვს. მაგალითად: ექსპერტიზის გაზიარება, იგივე პრო ბონო მხარდაჭერა, სოციალური შესყიდვები თუ სხვა.

ემბისი, როგორც გავლენის ინვესტორი



ემბისი კორპორაციული მდგრადობის ფარგლებში გავლენის ინვესტორების რიგს 2022 წელს შეუერთდა და პირველი კომპანიაა, რომელიც ფონდ „აქციო“-ს მხარდამჭერი დაფუძნებიდანვე გახდა. მხარდაჭერის ფარგლებში, შემდგომი 5 წლის მანძილზე, ემბისი „აქციოში“ 25 000\$-ის ინვესტიციას განახორციელებს და ამით სოციალური საწარმოების გაძლიერებას შეუწყობს ხელს. „აქციო“ წარმოადგენს ახალ შესაძლებლობას, მოქმედი სოციალური საწარმოებისთვის, განავითარონ ბიზნესი და გაზარდონ სოციალური გავლენა.

გავლენის ფონდი CSRDG-მ, ევროკომისიისა და EVPA-ს მხარდაჭერით, 2022 წელს დააფუძნა - პროექტის "თანამშრომლობა დადებითი ცვლილებებისათვის" ფარგლებში.

2023 წელს გავლენის ფონდ „აქციოსთან“ თანამშრომლობის შედეგად ემბისიმ მხარი დაუჭირა შემდეგ სოციალურ საწარმოებს:

სოციალური საწარმო „ბაბაღე“

„ბაბაღეს“ მისიაა დაუნის სინდრომის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების უზრუნველყოფა დასაქმებისა და პროფესიული უნარების განვითარების გზით.

„აქციოს“ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში „ბაბაღეს“ დაგეგმილი აქვს როგორც ეკონომიკური საქმიანობის გაფართოება, ისე სოციალური შედეგების გაზრდა. „ბაბაღე“ გეგმავს ხის, კერამიკისა და ტექსტილის სახელოსნოების მოწყობას, რაც მას საშუალებას მისცემს, სწავლების პროცესში ჩართოს დაუნის სინდრომის მქონე მეტი ახალგაზრდა და ხელი შეუწყოს მათ დასაქმებას როგორც ადგილზე, ისე ძირითად შრომის ბაზარზე. „აქციოსთან“ თანამშრომლობის შედეგად „ბაბაღემ“ მიიღო ორი სახის ფინანსური მხარდაჭერა:

- გრანტი 39, 915 ევროს ოდენობით;
- 0%-იანი სესხს 9,791 ევროს ოდენობით.



### სოციალური საწარმო „ისტორიალი“

საქმიანობის მასშტაბების გაზრდით კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და შენარჩუნებას შეუწყობს ხელს.

„აქციოს“ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში, „ისტორიალს“ დაგეგმილი აქვს როგორც ეკონომიკური საქმიანობის გაფართოება, ისე სოციალური შედეგების გაზრდა.

„აქციოსთან“ თანამშრომლობის შედეგად, „ისტორიალმა“ მიიღო ორი სახის ფინანსური მხარდაჭერა:

- გრანტი 39,817 ევროს ოდენობით;
- 0%-იანი სესხი 10,000 ევროს ოდენობით.



### პრო ბონო

საქართველოს პრო ბონო ქსელთან პარტნიორობით ემბისი განაგრძობს პრო ბონო სერვისების მეშვეობით სამოქალაქო ორგანიზაციების და სოციალური საწარმოების მხარდაჭერას. 2023 წელს კომპანიამ განახორციელა შემდეგი პრო ბონო პროექტები:

### პრო ბონო ვებინარი MS Excel-ში

ემბისის თანამშრომლებმა, ქალთა გაძლიერებისა და მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში, რეგიონში მცხოვრები სათემო ორგანიზაციის ქალი ლიდერებისთვის MS Excel-ის 3 დღიანი ვებინარი ჩაატარეს. სასწავლო პროგრამა აგებული განლდათ პრაქტიკულ მაგალითებსა და სავარჯიშოებზე. ტრენინგებს კი ემბისის საკრედიტო ადმინისტრირების მენეჯერი, გიგლა პაპალაშვილი უძღვებოდა.

ემბისი 2018 წლიდანაა პრო ბონო ქსელის წევრი და წლების განმავლობაში ამ მიმართულებით არაერთი აქტივობა განუხორციელებია.





### პრო ბონო პროექტი სოციალური საწარმო „არჩივისთვის“

პრო ბონო ქსელთან პარტნიორობით, ემბისიმ სოციალურ კაფე "არჩივს" გაუწია დახმარება. კერძოდ, კომპანიის გრაფიკულმა დიზაინერმა, მარი პაპუაშვილმა „არჩივის“ ლოგოსა და ბრენდ ბუქზე იმუშავა.

სოციალური კაფე "არჩივი" გურიაში, კერძოდ, ოზურგეთში მდებარეობს. კაფე 2023 წელს გაიხსნა და უგემრიელესი კერძებითა და სასმელებით უმასპინძლდება როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე ქალაქის სტუმრებს.



### პრო ბონო პროექტი მარტყოფის ახალგაზრდული ცენტრისთვის

2023 წელს, პრო ბონო ქსელთან პარტნიორობით, ემბისიმ კიდევ ერთი წარმატებული და საინტერესო პროექტი განახორციელა. კომპანიამ მარტყოფის ახალგაზრდულ ცენტრს „სათემო ლიდერთა ფორუმში“ მონაწილეობის მისაღებად გაუწია დახმარება. კერძოდ, ემბისის მარკეტინგის გუნდმა ცენტრის მიერ ღონისძიებაზე წარსადგენი პრეზენტაციის კრეატიულ იდეებსა და ვიზუალურ მხარეზე იმუშავა.

### მარტყოფის ახალგაზრდული ცენტრი

„ემბისისთან თანამშრომლობით ჩვენი პრეზენტაცია უფრო საინტერესო და ინტერაქციული გახდა - მევიტანეთ კრეატიული შტრიხები, რამაც ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე აუდიტორიაზე. ემბისი დაგვეხმარა ახალი და საინტერესო გზებით წარმოგვეჩინა ჩვენი ისტორია და „სათემო ლიდერთა ფორუმი 2023-ში“ გამარჯვება სწორედ მარტყოფის ახალგაზრდულმა ცენტრმა მოიპოვა.“



# ჩვენი გუნდი



ემბისის წარმატების და მდგრადი საქმიანობის საფუძველს მისი თანამშრომლები წარმოადგენენ. კომპანია ორიენტირებულია ტალანტების მოზიდვაზე, შენარჩუნებაზე, მათ მუდმივ მხარდაჭერაზე - ნიჭისა და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაზე.

ემბისის მიზანია შექმნას თანასწორი, დისკრიმინაციისგან თავისუფალი და უსაფრთხო სამუშაო გარემო, გენდერულად დაბალანსებულ სივრცე და მხარი დაუჭიროს ქალთა გაძლიერებას სამუშაო ადგილზე.

ემბისი ქვეყნის მასშტაბით 17 სერვის ცენტრითაა წარმოდგენილი. 2023 წლის ბოლოს კომპანიაში დასაქმებული გახლდათ 237 თანამშრომელი, მათ შორის 64% ქალი. მენეჯერულ პოზიციებზე ქალების წილი 54%-ს შეადგენდა - კომპანიის მენეჯმენტში კი 60%-ს.



### თანამშრომლების მართვა


ემბისის გუნდის მართვა ხორციელდება შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტებითა და ინსტრუქციებით, რომელთა მიზანია თანამშრომლებს შორის ურთიერთობების ეფექტური მართვა. შესაბამისი დოკუმენტებით რეგულირდება ისეთი საკითხები როგორცაა: თანამშრომლების სამსახურში აყვანა, შვებულებით სარგებლობა, ანაზღაურების პირობები, თანამშრომლების სწავლების თანადაფინანსება, სამუშაო ადგილზე ქვევის წესები და სხვა.

თანამშრომლებთან დაკავშირებული საკითხების მართვაზე პასუხისმგებელია ადამიანური კაპიტალის მართვის მიმართულება, რომელიც ექვემდებარება საოპერაციო დირექტორს.

### საჩივრების მართვა

საჩივრებისა და პრევენტიების დაფიქსირების მიზნით, კომპანიაში დანერგილია ონლაინ პლატფორმა „WeShare“, რომლის საშუალებით თანამშრომლებს საშუალება აქვთ ანონიმურად ან ვინაობის გაზიარების გზით, ნებისმიერი აზრი, შეხედულება, საჩივარი თუ პრეტენზია დააფიქსირონ კომპანიის მენეჯმენტთან.

აღნიშნული პლატფორმის გამოყენების წესების შესახებ თანამშრომლებს პერიოდულად უტარდებათ ტრენინგები. ასევე, ონლაინ პლატფორმაზე ინფორმაციას ყველა თანამშრომელი ეცნობა „ონბორდინგის“ პროცესში.



**თანამშრომელთა სწავლება და განვითარება**

ემბისიში თანამშრომელთა სწავლება-განვითარებაზე ზრუნვა პრიორიტეტული მიმართულებაა. კომპანია მხარს უჭერს გუნდის თითოეული წევრის პროფესიულ განვითარებას. დასაქმებულთა საჭიროებების კვლევის საფუძველზე იგეგმება შესაბამისი სწავლებები, რომელიც მოიცავს როგორც შიდა ტრენინგებს, ასევე კომპანიის გარეთ სწავლების მხარდაჭერას. წინა წლების მსგავსად, 2023 წელსაც აქტიურად გრძელდებოდა ონლაინ ტრენინგები „ემბისის სკოლაში“, რომლის მიზანი სერვის ცენტრის თანამშრომლებისთვის საჭირო პროფესიული ცოდნის გაღრმავება გახლავთ. ონლაინ ტრენინგები, რომელიც ქვემოთ ჩამოთვლილ მოდულებს მოიცავს, სულ 200-ზე მეტმა თანამშრომელმა გაიარა.

- საკრედიტო პროდუქტების პროცესინგი;
- „სკრიპტები“ გაყიდვების მიმართულებით;
- საკრედიტო და საოპერაციო რისკები;
- გაყიდვების ტექნიკები;

**ემბისის სკოლა:**

„ემბისის სკოლა“ 2022 წელს ჩამოყალიბდა. სკოლა აქტიურად მუშაობდა 2023 წლის მანძილზე - გადაამზადა და მენტორობა გაუწია ემბისის არსებულ თანამშრომლებს, კომპანიისთვის მოიძია, შეარჩია, გადაამზადა სტაჟიორები და სხვა.

ემბისი მუდმივად ცდილობს აამაღლოს თანამშრომლების ცნობიერება კორპორაციული მდგრადობის საკითხებთან დაკავშირებით. 2023 წელს კომპანიის თანამშრომლები მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა სასწავლო პროგრამებში და საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ მდგრად მიდგომებს და ბიზნეს მოდულებს.

**ემბისის თანამშრომლებმა გაეროს აქსელერაციის პროგრამაში მიიღეს მონაწილეობა**

2023 წელს ემბისის გუნდმა გაეროს გლობალური შეთანხმების - SDG ინოვაციების აქსელერატორის პროგრამაში მიიღო მონაწილეობა.

SDGInnovation აქსელერატორი გაეროს გლობალური შეთანხმების ქსელი წევრი ახალგაზრდა ინოვაციებისთვის შექმნილი პროგრამაა და პირველად ჩატარდა საქართველოში. პროგრამის მიზანია, დაეხმაროს ახალგაზრდა პროფესიონალებს ბიზნეს ინოვაციებისა და მდგრადი განვითარების მიზნების ეფექტურად დანერგვაში. ცხრა თვიანი პროგრამის ფარგლებში, ემბისის თანამშრომლებმა, მენტორთან ერთად შეიმუშავეს ისეთი ინოვაციური პროექტი, რომლის მიზანი ქალი მეწარმეების გაძლიერება და მხარდაჭერა იყო.

ემბისის გუნდს წარმოადგენდნენ: გვანცა ფაცაცია - კორპორაციული პასუხისმგებლობის და კომუნიკაციების მენეჯერი, ნათია ბიტაროვა - მარკეტინგის სპეციალისტი, რუსუდან მაჭარაშვილი - იურისტი.



**კორპორაციული მდგრადობის აკადემია**

ემბისის ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტმა - ნინო ავალიანმა გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის კორპორაციული მდგრადობის აკადემიის სასერტიფიკატო კურსი გაიარა.

კურსის ფარგლებში ნინომ ცოდნა მიიღო მდგრადი კორპორაციული მმართველობის შესახებ, გაცნო ეთიკური მუშაობის სტანდარტებს, რაც სამომავლოდ საშუალებას მისცემს მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს კომპანიაში პასუხისმგებლიანი ბიზნეს ქცევის დანერგვაში.



"მდგრადი განვითარების მიზნები, რომლის გაცნობასაც გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის კორპორაციული მდგრადობის აკადემიის სასერტიფიკატო კურსი ითვალისწინებს, გვეხმარება უკეთ შევაფასოთ არსებული გამოწვევები და ხელს უწყობს, დავნერგოთ კორპორაციული მდგრადობა ჩვენს ორგანიზაციაში".

**ნინო ავალიანი, HR სპეციალისტი**



### თანაბარი შესაძლებლობები და მრავალფეროვნება

ემბისი მხარს უჭერს გენდერულ თანასწორობას, თანამშრომელთა მრავალფეროვნებას, ქალთა უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოებას. კომპანია ხელს უწყობს ქალთა დაწინაურებას მმართველ პოზიციებზე და სთავაზობს ანაზღაურების თანაბარ შესაძლებლობებს.

ემბისი წარმოადგენს ქალთა გაძლიერების პრინციპების ხელმძღვრ (WEPIs) კომპანიას. გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, კომპანიას შემუშავებული აქვს სამოქმედო გეგმა და ყოველდღიურ საქმიანობაში ხელმძღვანელობს აღნიშნული გეგმით.

### შრომის ანაზღაურება და ბენეფიტები

ემბისი თითოეულ თანამშრომელს ძირითად სარგოსთან ერთად სთავაზობს სამოტივაციო სქემებს, რაც სახელფასო დანამატების ან ბონუსების გამოუმუშავების შესაძლებლობას იძლევა. აღნიშნული დანამატი/ბონუსი დამოკიდებულია დასახული გეგმების შესრულებაზე.

ანაზღაურების პაკეტი მოიცავს ყოველთვიურ ხელფასს, სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებულ ბონუსს და კერძო ჯანმრთელობის დაზღვევას, რომლის ანაზღაურება სრულად ხდება კომპანიის მხრიდან. ყოველთვიური ხელფასი ანგარიშდება პასუხისმგებლობის დონის, უნარებისა და პროფესიული გამოცდილების შესაბამისად. კომპანია ყველა თანამშრომლისთვის უზრუნველყოფს და სრულად ანაზღაურებს ჯანმრთელობის დაზღვევას.

გარდა ამისა, ემბისის თანამშრომლებისთვის რეგულარულად იგეგმება და ხორციელდება არამატერიალური წახალისების ინიციატივები, რომელთა მიზანია მათი მოტივაციის ამაღლება და გუნდურობის გაძლიერება.

2023 წელს განხორციელებული თანამშრომელთა წახალისების ინიციატივებია:

### ჭადრაკის ჩემპიონატი

2023 წელს ემბისიში ჩატარდა ჭადრაკის შიდა ტურნირი, რომლის გამარჯვებულებისგანაც დაკომპლექტდა კომპანიის გუნდი და მონაწილეობა მიიღო საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ „საქართველოს მესამე კორპორაციულ ჭადრაკის ჩემპიონატში“.



### ბავშვთა დაცვის დღე ემბისიში

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს ემბისიში გასართობი ღონისძიება გაიმართა. კომპანიამ თანამშრომლების შვილებს უმასპინძლა. პატარებს სპეციალურად მათთვის მოწყობილი გასართობი და სახატავი სივრცეები, ბატიბუტის, ბამბის ნაყინის და სახის მოხატვისთვის განკუთვნილი კუთხეები და მოწვეული ანიმატორები დახვდნენ. ღონისძიების მსვლელობისას პატარა ემბისელებმა სამახსოვრო ფოტოებიც გადაიღეს. სახალისო თამაშებში პატარებთან ერთად მათი მშობლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ.



### წიგნის დღესთან დაკავშირებული კამპანია: #BookChallenge

ტრადიციულად, ემბისი 2023 წელსაც შეუერთდა წიგნის საერთაშორისო დღის აღნიშვნას - კამპანიით - #Bookchallenge. კამპანია ერთი თვის განმავლობაში გაგრძელდა და მასში ჩართვის შესაძლებლობა ემბისის ყველა თანამშრომელს ჰქონდა. აქტივობის ფარგლებში, ემბისელები ერთმანეთს საჩუქრად წიგნებს გადასცემდნენ, სხვა თანამშრომლებს კი კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად იწვევდნენ. აქტივობაში 120-ზე მეტი თანამშრომელი ჩაერთო. ღონისძიების მიზანი წიგნის პოპულარიზაციის ხელშეწყობა გახლდათ.



### თანამშრომელთა მოხალისეობრივი საქმიანობა

ემბისის თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართულები სხვადასხვა მოხალისეობრივ საქმიანობაში. კომპანია გახლავთ საქართველოს პრო ბონო ქსელის წევრი და აქტიურად აზიარებს პროფესიულ ექსპერტიზას საზოგადოების საკეთილდღეოდ (იხილეთ დეტალური ინფორმაცია ქვეთავში - კორპორაციული მდგრადობა). 2023 წელს მოხალისეობრივ პროექტებში ემბისის 7-მდე თანამშრომელი მონაწილეობდა.

### კორპორაციული ღონისძიებები

ემბისიში უკვე ტრადიციად დამკვიდრდა „ნაძვის ხის მორთვის დღის“ აღნიშვნა. ტრადიცია, არც 2023 წელს დარღვეულა და სათავო ოფისსა და სერვის ცენტრებში ემბისელებმა ერთდროულად მორთეს საახალწლო ნაძვის ხე. ასევე, 2023 წელს, ტრადიციისამებრ, გაიმართა მასშტაბური კორპორაციული ღონისძიება, რომლის მიზანი თანამშრომლებს შორის ურთიერთობების გაღრმავება, არაფორმალურ გარემოში დროის პოზიტიურად გატარება იყო. მნიშვნელოვანია ისიც, რომ თანამშრომელთათვის განკუთვნილი საახალწლო საჩუქრების შერჩევისას ემბისი პრიორიტეტს ყოველთვის ქართული წარმოების პროდუქციას ანიჭებს.

**ემბისის გრაფიკული დიზაინერი 2023 წლის პრო ბონო ჩემპიონი გახდა**

ემბისის გრაფიკული დიზაინერი, მარი ჰაპუაშვილი საქართველოს პრო ბონო ქსელისა და საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის კონკურსის - "პრო ბონო ჩემპიონი 2023", ჯილდოს მფლობელი გახდა!

2023 წლის პრო ბონო ჩემპიონის გამოვლენა პრო ბონო საქმიანობისთვის დათმობილი დროისა და ამ მიმართულებით შესრულებული პროექტების რაოდენობის მიხედვით მოხდა.

გასული წლის განმავლობაში მარი ჰაპუაშვილმა საზოგადოების სასიკეთოდ დაახლოებით 100 საათის პროფესიული რესურსი დახარჯა.



# ინფორმაციული ტექნოლოგიები





2023 წელს ემბისიმ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საოპერაციო პროცესების გაციფრულების, მონაცემთა დაცულობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით.

გაძლიერდა და გაიზარდა ინფორმაციული ტექნოლოგიების გუნდი როგორც ინფრასტრუქტურისა და მხარდაჭერის კუთხით, ასევე პროექტების მართვის, ბიზნეს ანალიზისა და ხარისხის მართვის მიმართულებით.

კომპანიაში ცალკე სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბდა და შესაბამისი საკადრო რესურსით დაკომპლექტდა კიბერ-უსაფრთხოების მიმართულება.

#### ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურისა და უსაფრთხოების მიმართულება

ორგანიზაციის ზრდისა და სერვისების რაოდენობის მატებასთან ერთად, საჭირო გახდა ქსელური და სერვერული ინფრასტრუქტურის ოპტიმიზაცია, რაც წარმატებით შესრულდა 2023 წლის მეორე ნახევარში.

კომპიუტერული ქსელების მონიტორინგისა და მართვისთვის დაინერგა LibreNMS პლატფორმა, რაც მონიტორინგის კუთხით ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე ინსტრუმენტს წარმოადგენს.

2023 წელს ასევე დაინერგა Symantec Antivirus უსაფრთხოების სისტემა.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სერვისის ცენტრების კომპიუტერული აპარატურაც.

წლის მეორე ნახევარში განხორციელდა LMS-ს (აღტა სოფტვეარის პროგრამა) ბაზების ოპტიმიზაცია.

2024 წლის პირველ ნახევარში IT ინფრასტრუქტურის გაძლიერების მიზნით დაგეგმილია მონიტორინგის სისტემის დანერგვა და სერვერების განახლება.

#### ინფორმაციული ტექნოლოგიების პროექტების მართვის მიმართულება

2023 წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა ადამიანური რესურსების მართვის სისტემის (HRMS) განვითარების პროექტი. პროექტმა გაიარა ანალიზის, დეველოპმენტის ფაზები და მიმდინარე ეტაპზე სატესტო რეჟიმის ფაზაშია. ახალი პროგრამა მეტად ამარტივებს კადრების მართვის ოპერაციებს, რითაც მნიშვნელოვნად იზრდება ადმინისტრირების ეფექტიანობა და იზოგება როგორც ფინანსური, ასევე ადამიანური რესურსი.

2023 წელს დაიწყო და 2024 წლის პირველ ნახევარში დასრულდება სატელეფონო მომსახურების პროგრამის (CallApp) განახლება და სრულყოფა.

საკანონმდებლო მოთხოვნებიდან გამომდინარე, გაიმართა და დასრულდა სწრაფი ფულადი გზავნილების ატვირთვის პროცესი საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში.

დასრულდა „ვალუტის ონლაინ კონვერტაციის“ პროდუქტზე მიმდინარე სამუშაოები. პროდუქტი მოიცავს ვირტუალურ პერსონალურ სივრცეს და მომხმარებელს საშუალებას აძლევს დისტანციურად დააფიქსიროს დავალება უნაღდო კონვერტაციაზე და ოპერაცია სახლიდან გაუსვლელად განხორციელოს.

გაუმჯობესდა ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულება. დაინერგა და გაიმართა პროდუქტებისა და ტრანზაქციების ტესტირების პროცესი.

მიკრო ბანკად ტრანსფორმაციის პროცესში, ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულება ემბისის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად და გამოწვევად რჩება. კომპანიას კარგად აქვს გააზრებული აღნიშნული საკითხი და აპირებს, მნიშვნელოვნად გაზარდოს ინვესტიციები ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით, კერძოდ, როგორც პროგრამული უზრუნველყოფის გაუმჯობესების, საოპერაციო პროცესების გაციფრულების, მონაცემთა დაცულობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით, ასევე განყოფილების გუნდის გაძლიერების კუთხითაც. მიმდინარეობს ციფრული ტრანსფორმაციის გრძელვადიან გეგმაზე მუშაობა და ყველა საჭირო პროექტსა თუ პროცესზე შეთანხმება.

# კორპორაციული მართვა





## კორპორაციული მართვა

ემბისის, როგორც სააქციო საზოგადოების კორპორაციული მართვა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, პრინციპებსა და საუკეთესო პრაქტიკას. მისოს აქვს მკაფიოდ განსაზღვრული ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობის განსაზღვრას, ანგარიშვალდებულებისა და უფლებამოსილების სწორ დელეგირებას, ჯანსაღ ადმინისტრირებას, რისკების ეფექტიან იდენტიფიცირებას, მართვასა და ანგარიშგებას, ადეკვატურ შიდა კონტროლს, ფინანსურ დაგეგმვასა და ანგარიშგებას, შესაბამის პოლიტიკა-პროცედურებს.

მისოს მართვის სტაბილური ფუნქციონირებისათვის მკაცრად არის გამოიყენებული უფლებამოსილება საზედამხედველო, აღმასრულებელ და მკონტროლებელ ორგანოებს შორის, რომელთა ფუნქციები სრულად უზრუნველყოფს მისოს მართვას და არ არის დუბლირებული.

მისოს მართვის ორგანოებია: აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორატი.

აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს მისოს უმაღლეს მმართველობით ორგანოს. აქციონერთა უფლებები განსაზღვრულია მისოს წესდებით და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით. მისოს საქმიანობას ზედამხედველობს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც არჩეულია აქციონერთა საერთო კრების მიერ. საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს მისოს განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებზე, ხელმძღვანელობს აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობას და ანგარიშვალდებულია აქციონერთა საერთო კრების წინაშე.

მისოს სამეთვალყურეო საბჭო შედგება 3 წევრისგან, მათგან ერთი დამოუკიდებელი წევრია და აუდიტის კომიტეტს ხელმძღვანელობს. სამეთვალყურეო საბჭოს ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს აქციონერთა უფლებებისა და მათი კაპიტალის დაცვა, მისოს საქმიანობის სტრატეგიის განსაზღვრა, ორგანიზაციული სტრუქტურის დამტკიცება, აღმასრულებელ ორგანოებზე ზედამხედველობა და ჯანსაღი კორპორაციული გარემოს დამყარებასა და შენარჩუნებაში მათი როლის მუდმივი შეფასება, ეფექტიანი შიდა კონტროლისა და რისკების მართვისთვის სათანადო პირობების არსებობის უზრუნველყოფა, მისოს ანაზღაურების სისტემის მონიტორინგი, მისოს განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის, რისკ-აპეტიტის, ბიუჯეტის დამტკიცება და შესრულების კონტროლი.

სამეთვალყურეო საბჭოში ფუნქციონირებს აუდიტის კომიტეტი, რომლის მთავარი ფუნქცია შიდა აუდიტისა და მისოს გარე აუდიტორების ფუნქციონირების ხელშეწყობაა. აუდიტის კომიტეტის მიზანია შიდა

აუდიტისა და ფინანსური ანგარიშგების პროცესის წარმართვა, შიდა კონტროლის სისტემის მონიტორინგი, კანონმდებლობასა და რეგულაციებთან ორგანიზაციის მუშაობის შესაბამისობის უზრუნველყოფა, რაც საშუალებას აძლევს სამეთვალყურეო საბჭოს მიიღოს სანდო ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც შეძლებს ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებას. მისოს აუდიტის კომიტეტის უფლებამოსილებას, ფუნქციებსა და ვალდებულებებს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა და მისოს დებულება აუდიტის კომიტეტის შესახებ, რომელსაც სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს.

მისოს ყოველდღიურ მართვას ახორციელებს დირექტორატი, რომელიც უზრუნველყოფს მისოს სტრატეგიული მიზნების მიღწევას, კოლექტიურად აგებს პასუხს თავის საქმიანობაზე და ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. დირექტორატის წევრებს სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს. მისოს დირექტორატი სხვა ფუნქციებთან ერთად ადასრულებს მისოს ბიზნეს სტრატეგიებს, ქმნის ფინანსური და არაფინანსური რისკების მართვის ეფექტიან სისტემებს, ხელს უწყობს რისკის კულტურის შემუშავებას და დამკვიდრებას, პროცესებსა და კონტროლს, აწვდის სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციების შესრულებისთვის საჭირო ინფორმაციას. დირექტორატი პასუხისმგებელია მისოს თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობების განაწილებასა და ეფექტიანი მმართველობის სტრუქტურის შექმნაზე, რომელიც უზრუნველყოფს მისოს შიგნით ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას.

მისოს დირექტორატი შედგება 5 წევრისგან - გენერალური დირექტორი, დაკრედიტების დირექტორი, ოპერაციების დირექტორი, ფინანსური დირექტორი და რისკების დირექტორი. დირექტორატის წევრების დანიშვნის წესს, ვადებსა და საქმიანობის რეგლამენტს საქართველოს კანონმდებლობა, მისოს წესდება და დირექტორატის დებულება ადგენს.

მისო აღიარებს მმართველობითი ორგანოების სხვადასხვა სქესის, ეროვნებისა და სამუშაო გამოცდილების მქონე ადამიანებით დაკომპლექტების მნიშვნელობას, დასაქმებას და შესაბამის პოზიციებზე დანიშვნას სამუშაო გამოცდილების, განათლების, პროფესიული ცოდნისა და მოთხოვნილი უნარების შესაბამისად ახორციელებს. სამეთვალყურეო საბჭოში ხუთი წევრიდან ერთი ქალია, ხოლო დირექტორატის შემადგენლობაში ხუთი წევრიდან სამი ქალია წარმოდგენილი.

# სამეთვალყურეო საბჭო





### ტარას ნიჟარაძე

#### სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე

ტარას ნიჟარაძე, 2012 წლიდან გახლავთ სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "მიკრო ბიზნეს კაპიტალის" პარტნიორი და სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე.

1990 წლიდან იგი აქტიურად მოღვაწეობს ბიზნესის სფეროში - არის საბანკო, ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, ბუნებრივი რესურსებისა და ენერჯეტიკის სფეროებში მოღვაწე კერძო კომპანიების დამფუძნებელი და მენეჯერი.

1998 - 2012 წლებში ტარას ნიჟარაძე იყო სს "ბაზისბანკის" ერთ-ერთი აქციონერი, ამავე ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და შემდგომ თავჯდომარე.

2006 წლიდან იგი არის შ.პ.ს. "ენერგო-არაგვის" თანადამფუძნებელი და დირექტორი, სათავეში უდგას ჰიდროენერჯეტიკის სფეროში განხორციელებულ ერთ-ერთ წარმატებულ პროექტს საქართველოში.

1986 წელს ტარას ნიჟარაძემ დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი და მიიღო ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხი ნახევარგამტარების ფიზიკის სპეციალობით. მან სამეცნიერო კარიერა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბაზაზე არსებულ სტრუქტურული კვლევების რესპუბლიკურ ცენტრში - მეცნიერ-მკვლევარის თანამდებობაზე დაიწყო.



### მურმან ამბროლაძე

#### სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

მურმან ამბროლაძე 2014 წლიდან გახლავთ სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "მიკრო ბიზნეს კაპიტალის" პარტნიორი და სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

1993 წელს, გია პეტრიაშვილთან ერთად, დააფუძნა კომერციული ბანკი - სს "ბაზისბანკი" და წლების მანძილზე იყო მისი დირექტორი, ხოლო 2008-2012 წლებში გახლდათ სს "ბაზისბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

2012 წლიდან დღემდე იგი შპს "ამბრო-სოფთის" დამფუძნებელი და დირექტორია. მურმან ამბროლაძეს აქვს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრის და დოქტორის ხარისხი მათემატიკის განხრით და არის რიგი სამეცნიერო ნაშრომების ავტორი. მან სამეცნიერო და პედაგოგიური კარიერა თბილისის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის უმაღლესი მათემატიკის კათედრაზე დაიწყო.





### ვალერი ჩეჩელაშვილი

#### სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი

ვალერი ჩეჩელაშვილს დამთავრებული აქვს კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მიმართულებით და აქვს საერთაშორისო ეკონომიკის დოქტორის ხარისხი.

1989 წლიდან იგი დიპლომატიური ურთიერთობების სფეროში მოღვაწეობდა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ეკავა სხვადასხვა თანამდებობები - მეორე მდივნიდან მინისტრის მოადგილის პოზიციამდე. 2005 წელს ვალერი ჩეჩელაშვილი იყო საქართველოს ფინანსთა მინისტრი, ხოლო 2005-2007 წლებში მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობა ეკავა.

1994-1998 წლებში იგი იყო საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი უკრაინაში, ხოლო 2004-2005 წლებში რუსეთის ფედერაციაში. 2000-2004 წლებში ჩეჩელაშვილს ეკავა გენერალური მდივნის პოზიცია შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში, ხოლო 2007-2016 წლებში - გენერალური მდივნის პოზიცია დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციაში.


2000-2004 წლებში, როგორც შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის გენერალური მდივანი, იგი მონაწილეობდა შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის (შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წესდების შესაბამისად მისი აფილირებული ორგანო) მმართველთა საბჭოს მუშაობაში. 2002-2012 წლებში იყო "ბაზისბანკის" აქციონერი.

2016 წლიდან ვალერი ჩეჩელაშვილი არის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

იგი დაჯილდოებულია სხვადასხვა მედლითა და ორდენით და ასევე, გახლავთ რამდენიმე ათეული პუბლიკაციის ავტორი რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობისა და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში.



# დირექტორატი







### გია პეტრიაშვილი გენერალური დირექტორი

გია პეტრიაშვილმა, საბანკო სფეროში მრავალწლიანი გამოცდილების შემდეგ, 2012 წელს დააფუძნა სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "მიკრო ბიზნეს კაპიტალი" (ემბისი) და დაარსების დღიდან, იკავებს გენერალური დირექტორის პოზიციას.

1993 წლიდან გია პეტრიაშვილი გახლდათ სს „ბაზისბანკის“ დამფუძნებელი და სამეთვალყურეო საბჭოს პირველი თავმჯდომარე, ხოლო 1998-2012 წლებში იყო ამავე ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

1999 წლიდან იგი საქმიანობდა OPIC-ის მიერ დაფინანსებულ საინვესტიციო ფონდში - "კავკასიის ფონდი", 1999-2002 წლებში კი, გახლდათ LLC Caucasus Advisors-ის თბილისის ოფისის დირექტორი.

2002-2005 წლებში გია პეტრიაშვილი იყო შპს "გასართობი ცენტრი მეიდანის" დამფუძნებელი და მმართველი დირექტორი. 2006-2009 წლებში კი დააფუძნა და ხელმძღვანელობდა უძრავი ქონების საინვესტიციო კომპანიას - შპს "სოლოლაკი ინვესტორს".

გია პეტრიაშვილს აქვს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრისა და დოქტორის აკადემიურ ხარისხი თეორიული და მათემატიკური ფიზიკის განხრით. სამეცნიერო კარიერა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერჯების ფიზიკის ინსტიტუტში მეცნიერ-მკვლევარის პოზიციაზე დაიწყო. ასევე იყო მოსკოვის ბირთვული კვლევების ინსტიტუტის მოწვეული მეცნიერ-თანამშრომელი.



### გიორგი დვალაძე დაკრედიტების დირექტორი

გიორგი დვალაძე სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალის“ საკრედიტო დეპარტამენტს 2013 წლიდან ხელმძღვანელობს. მას საბანკო-საფინანსო სფეროში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. 2005 წელს კარიერა დაიწყო "ბანკ კონსტანტაში" - დაკრედიტების ექსპერტის პოზიციაზე, მოგვიანებით კი ფილიალის მმართველის, მინი და მინი-აგრო მიმართულებების ხელმძღვანელის პოზიციები ეკავა.

გიორგი დვალაძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა და აქვს ბაკალავრის ხარისხი ეკონომიკის განხრით. 2006 წელს მას კავკასიის აკადემიურ ცენტრში (CAC) ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი (MBA) მიენიჭა, 2014 წლიდან კი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინჟინერინგის ფაკულტეტის დოქტორანტია ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით.



### ეთო ჩაჩიბაია ოპერაციების დირექტორი

2013 წლიდან ეთერ ჩაჩიბაია სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალის“ გუნდის წევრია. მისი როგორც ოპერაციების დირექტორის საკურატორო სფეროში შედის შემდეგი მიმართულებები: საოპერაციო პროდუქტები და მომსახურება, ქოლ ცენტრი, მარკეტინგი, პიარი და კორპორაციული პასუხისმგებლობა, ლოჯისტიკა და შესყიდვები. მრავალი წლის განმავლობაში ეთერ ჩაჩიბაია დასაქმებული იყო სს "ბაზისბანკსა" და "HSBC-ბანკ საქართველოში" - საოპერაციო, საცალო და კორპორაციული მომსახურებების მიმართულებით.

გარდა ამისა, სხვადასხვა დროს იგი საქმიანობდა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და არასამთავრობო სექტორში.

ეთერ ჩაჩიბაია აქვს საერთაშორისო ეკონომიკის მაგისტრის ხარისხი.



### თათია ჯაჯანაშვილი ფინანსური დირექტორი

თათია ჯაჯანაშვილი ემბისის გუნდს 2014 წლიდან შემოუერთდა და ხაზინის, ბუღალტერიის, ფინანსური ანგარიშგებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილებებს ხელმძღვანელობს.

2011-2014 წლებში იგი "ბანკი კონსტანტას" მმართველობითი აღრიცხვისა და ანალიზის უფროსი ოფიცრის პოზიციაზე მუშაობდა.

თათია ჯაჯანაშვილი კავკასიის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია და მინიჭებული აქვს ბაკალავრის ხარისხი ფინანსების განხრით. 2020 წელს მას მიენიჭა გრენობლის ბიზნეს სკოლის მაგისტრის ხარისხი, მენეჯმენტ კონსალტინგის მიმართულებით.

თათია ჯაჯანაშვილი 2019 წელს დასახელდა Forbes 30 Under 30-ის რჩეულად ფინანსების კატეგორიაში.



### ნინო დევდარიანი რისკების დირექტორი

ნინო დევდარიანი ემბისიში რისკების დირექტორის პოზიციას 2016 წლიდან იკავებს და ხელმძღვანელობს როგორც საკრედიტო და საოპერაციო რისკების, ასევე AML და იურიდიულ განყოფილებებს.

2008-2013 წლებში იგი საქართველოს ეროვნულ ბანკში მუშაობდა საერთაშორისო რეზერვების რისკების მართვისა და კონტროლის განხრით, 2014-2016 წლებში კი საქართველოს ფინანსთა სამინისტროში საქმიანობდა სახელმწიფო ვალის რისკების მართვის მიმართულებით.

ნინო დევდარიანს აქვს Williams College-ის (აშშ) მაგისტრის ხარისხი (2014), არის მსოფლიო ბანკის სტიპენდიატი.



# აუდიტის კომიტეტი







### კომიტეტის თავმჯდომარის წერილი

#### ძვირფასო აქციონერებო და პარტნიორებო,

ემბისის აუდიტის კომიტეტი მოქმედებს კომპანიის ხელმძღვანელობისგან დამოუკიდებლად, თქვენი ნდობითი ვალდებულების შესასრულებლად და იმის უზრუნველსაყოფად, რომ მხარეების ინტერესები სათანადოდ გახლდეთ დაცული, როგორც შიდა კონტროლის, ფინანსური ანგარიშგების და მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მხრივ, ასევე, სათანადო ურთიერთობის შესანარჩუნებლად გარე აუდიტორებთან.

ქვეყანაში არსებული გამოწვევების ფონზე, აუდიტის კომიტეტი მუდმივ რეჟიმში ზრდის ძალისხმევას ორგანიზაციის შიდა კონტროლის გარემოს გასაძლიერებლად. გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არც 2023 წელი ყოფილა და შიდა კონტროლის ფუნქციის ეფექტიანობის ამაღლების მიმართულებით კომიტეტმა მთელი რიგი ცვლილებები განახორციელა.

გარდა ამისა, აუდიტის კომიტეტი აქტიურად თანამშრომლობს მენეჯმენტთან, იმ რისკების დროული იდენტიფიცირებისა და შემცირების კუთხით, რომელთაც შესაძლოა გავლენა მოახდინონ კომპანიის შედეგიანობაზე.

პატივისცემით,  
**ვალერი ჩეჩელაშვილი**

კომპანიაში ფუნქციონირებს შიდა აუდიტი, რომელიც ექვემდებარება და ანგარიშვალდებულია მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოსა და მასთან არსებული აუდიტის კომიტეტის წინაშე. კომიტეტის წევრებსა და შიდა აუდიტის უფროსს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს. შიდა აუდიტის ძირითადი ამოცანაა, დახმარება გაუწიოს სამეთვალყურეო საბჭოს კომპანიის რისკების მართვის ეფექტიანობის, ხარისხის კონტროლისა და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ზედამხედველობის მიმართულებით. შიდა აუდიტის უფროსი უზრუნველყოფს წლიური გეგმისა და აუდიტის პროგრამების შედგენა/შესრულების კონტროლს, აუდიტორული საქმიანობის ორგანიზებას და მართვას, სამეთვალყურეო საბჭოსათვის პერიოდული ანგარიშგების მომზადებას. შიდა აუდიტი ადგილზე შემოწმების გზით აკონტროლებს კომპანიის მართვის მექანიზმების, ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების, საოპერაციო სისტემების, რისკების მართვისა და შიდა კონტროლის მექანიზმების გამართულობასა და სანდოობას, მათ შესაბამისობას კანონმდებლობასთან და საერთაშორისო სტანდარტებთან. შიდა აუდიტის შემადგენლობის დანიშვნის წესს, ვადებსა და საქმიანობის რეგლამენტს ადგენს საქართველოს კანონმდებლობა, მისოს წესდება და დებულება შიდა აუდიტის შესახებ. წლის ბოლოს, მისოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობისა და წლიური ანგარიშგების საიმედოობის შესაფასებლად, სამეთვალყურეო საბჭო დამოუკიდებელ გარე აუდიტორს იწვევს.

2023 წელს, აუდიტის კომიტეტის სხდომებზე, განხილულ და გადაწყვეტილ იქნა შემდეგი საკითხები:

- შიდა და გარე აუდიტის შედეგები;
- გარე აუდიტორის მიერ მომზადებული სარეკომენდაციო წერილი;
- შიდა აუდიტის წლიური გეგმა;
- შიდა და გარე აუდიტის პროცესში აღმოჩენილი ნაკლოვანებები და მათი გამოსწორების მიზნით გატარებული ზომების ეფექტურობის შეფასება;
- შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსის განხილვა და დამტკიცება;
- შიდა აუდიტის მიერ მომზადებული ანგარიშების განხილვა და დამტკიცება.




ეზბისი

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია  
მიკრო ბიზნეს კაპიტალი

# ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად  
საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა  
2023 წლის 31 დეკემბერს



# შინაარსი

1.	დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	56
----	---------------------------------	----

## ფინანსური ანგარიშგება

2.	ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	60
3.	სრული შემოსავლის ანგარიშგება	61
4.	ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ	62
5.	ფულადი ნაკადების ანგარიშგება	63

## ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1.	ზოგადი ინფორმაცია	65
2.	მომზადების საფუძვლები	65
3.	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	67
4.	ფინანსური ინსტრუმენტები - რისკის მართვა	68
5.	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	72
6.	კლიენტებზე გაცემული სესხები	73
7.	სხვა აქტივები	80
8.	გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება	81
9.	აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები	82
10.	ძირითადი საშუალებები	83
11.	სუბორდინირებული სესხები და სხვა ნასესხები თანხები	84
12.	სხვა ვალდებულებები	85
13.	საწესდებო კაპიტალი და რეზერვები	86
14.	წმინდა საპროცენტო შემოსავალი	88
15.	სხვა საოპერაციო ხარჯები	88
16.	პირობითი ვალდებულებები	89
17.	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	91
18.	საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	91
19.	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	92

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია “მიკრო ბიზნეს კაპიტალის” აქციონერებსა და ხელმძღვანელობას

#### მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია “მიკრო ბიზნეს კაპიტალის” (შემდგომში - ორგანიზაცია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

#### მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

#### აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები ის საკითხებია, რომლებიც, ჩვენი პროფესიული განსჯის საფუძველზე, ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმავლობაში. ეს საკითხები მთლიანობაში განვიხილეთ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის კონტექსტში და აუდიტზე დაყრდნობით ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბებისას, შესაბამისად ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვხატავთ.



<p>აუდიტის ძირითადი საკითხები</p>	<p>როგორ მივუღებთ აუდიტის ძირითად საკითხს ჩვენი აუდიტის განმავლობაში</p>
<p>მომხმარებლებზე გაცემული სესხების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი</p>	
<p>ამ საკითხზე ყურადღება იმითომ გავამახვილეთ, რომ ხელმძღვანელობის შეფასებები მომხმარებლებზე გაცემული სესხებისთვის შექმნილ მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის რეზერვთან დაკავშირებით კომპლექსურია, მათში მნიშვნელოვანი დოზით მონაწილეობს განსჯა და ისინი ექვემდებარება შეფასების მაღალი დონის განუსაზღვრელობას.</p> <p>ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ მიხედვით, ხელმძღვანელობას მოეთხოვება საკრედიტო ზარალის რეზერვის განსაზღვრა, რომლის დადგომა მოსალოდნელია 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში ან აქტივის დარჩენილი ვადის მანძილზე, ცალკეული აქტივისთვის მინიჭებული სტაბილური გამოდინარე. ესა თუ ის სტადია განისაზღვრება იმის შეფასებით, საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა (საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა) ან აღმოჩნდა თუ არა მსესხებელი დეფოლტის სიტუაციაში სესხის გაცემის შემდეგ. ხელმძღვანელობის მიერ ასეთი შეფასებებისას გამოყენებული ზოგიერთი კრიტერიუმი ძალზე სუბიექტური ხასიათისაა და მოიცავს მსესხებლების კრედიტუნარიანობის ხარისხობრივ შეფასებას.</p> <p>მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისას ასევე საჭიროა სამომავლო მაკროეკონომიკური პირობების გავლენის გათვალისწინება. ეკონომიკური პერსპექტივა სტაბილურია ინფლაციური ზეწოლების მიუხედავად.</p> <p>ჩვენ მიგვაჩნია, რომ მოდელის მეთოდოლოგიები მართებულია და მოდელირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის განსაზღვრისას გამოყენებული შემდეგი განსჯა მნიშვნელოვანია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>– საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის დასადგენად გამოყენებული, განსჯაზე დიდწილად დამოკიდებული კრიტერიუმები, რაც მოიცავს მსესხებლების კრედიტუნარიანობის ხარისხობრივ შეფასებას;</li> <li>– დეფოლტის შემთხვევაში ზარალის და დეფოლტის ალბათობის განსაზღვრისთვის გამოყენებული კრიტიკული დაშვებები.</li> </ul>	<p>ჩვენ შევისწავლეთ და შევაფასეთ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის განსაზღვრის კონტროლის მთავარი მექანიზმები და შევამოწმეთ მათი საოპერაციო ეფექტურობა. კონტროლის ეს მექანიზმები, სხვებთან ერთად, შემდეგსაც მოიცავს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>– მოდელის ეფექტურობის მონიტორინგის კონტროლი, პოლიტიკის და მოდელის პერიოდული გადახედვის ჩათვლით, მოდელის საპროგნოზო შეფასებების შედარება რეალურად დამდგარ (ფაქტობრივ) შედეგებთან და მოდელის მეთოდოლოგიაში ცვლილებების დამტკიცება;</li> <li>– ძირითადი განსჯის და დაშვებების გადახედვა და დამტკიცება, რომლებიც გამოიყენება დეფოლტის შემთხვევაში ზარალის და დეფოლტის ალბათობის განსაზღვრისთვის;</li> <li>– გამოთვლითი ინსტრუმენტების მეშვეობით ძირითადი პარამეტრების (როგორცაა დეფოლტის ალბათობა და ზარალი დეფოლტის შემთხვევაში) გაანგარიშების კონტროლი;</li> <li>– მსესხებლების ფინანსური მდგომარეობის რეგულარული მონიტორინგის კონტროლი; და</li> <li>– მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების და შედეგების ანალიზის კონტროლი.</li> </ul> <p>ჩვენ არ აღმოგვიჩენია რამე გამონაკლისი ზემოაღნიშნული კონტროლის მექანიზმების მოწყობის ან საოპერაციო ეფექტურობის მხრივ. გარდა ამისა, ჩვენ ჩავატარეთ ქვემოთ აღწერილი ძირითადი პროცედურები.</p> <p>შევაფასეთ, ხელმძღვანელობის მიერ ფასს 9-ის მიხედვით შემუშავებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის მეთოდოლოგიები რამდენად მართებული იყო. ამასთანავე შევაფასეთ ხელმძღვანელობის მიერ დაწესებული სუბიექტური კრიტერიუმები იმის დასადგენად, მოხდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა და კრიტიკული განსჯა და დაშვებები, რომლებიც გამოყენებულია დეფოლტის შემთხვევაში ზარალის და დეფოლტის ალბათობის განსაზღვრისთვის. ჩვენ დავასკვნით, რომ ხელმძღვანელობის განსჯა, რომლის საფუძველზეც ფასდება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, ზარალი დეფოლტის შემთხვევაში და დეფოლტის ალბათობა გონივრულია.</p> <p>ჩვენ დამოუკიდებლად შევამოწმეთ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა და შევაფასეთ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა შესაბამისობაში იყო თუ არა დამტკიცებულ მოდელის მეთოდოლოგიასთან.</p> <p>შევაფასეთ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალთან დაკავშირებული განმარტებები და მათი შესაბამისობა ფასს-ების მოთხოვნებთან.</p>

## სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელზეც პასუხისმგებელია ორგანიზაციის ხელმძღვანელობა და რომელიც შეიტანება მმართველობის ანგარიშგებაში, არ გვქონდა მიღებული აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს შემოხსენებულ სხვა ინფორმაციას. სავარაუდოდ, მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ შემოადინებულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს შემოადინებულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

## ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან ზედამხედველობა გაუწიონ ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

## აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმომობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;

- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;

- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი საადრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;

• გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს ორგანიზაციის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაააღკვეთური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ორგანიზაცია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;

• ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

**ივანე ჟუჟუნაშვილი (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-720718)**

**შპს „ბილიო აუდიტის“ სახელით**

**თბილისი, საქართველო**

**1 მაისი 2024**

აქტივები	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	6,286	6,778
კლიენტებზე გაცემული სესხები	6	101,144	90,241
სხვა აქტივები	7	2,019	4,109
საგადასახადო აქტივი		-	267
გადავადებული საგადასახადო აქტივი	8	-	137
არამატერიალური აქტივები		370	407
აქტივების გამოყენების უფლება	9	4,733	5,511
ძირითადი საშუალებები	10	2,532	2,785
<b>სულ აქტივები</b>		<b>117,084</b>	<b>110,235</b>
<b>ვალდებულებები</b>			
სუბორდინირებული სესხები და სხვა ნასესხები თანხები	11	90,046	84,214
საიჯარო ვალდებულებები	9	4,750	5,348
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	8	51	-
საგადასახადო ვალდებულება		505	-
სხვა ვალდებულებები	12	1,155	719
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>96,507</b>	<b>90,281</b>
<b>საკუთარი კაპიტალი</b>			
სააქციო კაპიტალი	13	2,255	2,255
საემისიო კაპიტალი	13	1,136	1,136
პრივილეგირებული აქციები	13	6,989	7,464
გაუნაწილებელი მოგება	13	10,197	9,099
<b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>		<b>20,577</b>	<b>19,954</b>
<b>სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</b>		<b>117,084</b>	<b>110,235</b>

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 1 მაისს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

გია პეტრიაშვილი

ფინანსური დირექტორი

თათია ჯაჯანაშვილი



	შენიშვნა	2023	2022
საპროცენტო შემოსავალი	14	25,026	22,684
საპროცენტო ხარჯი	14	(10,015)	(8,273)
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>		<b>15,011</b>	<b>14,411</b>
საკომისიო შემოსავალი		3,743	2,268
წმინდა მოგება უცხოური ვალუტის გადაფასებიდან		56	4,821
წმინდა ზარალი ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან		(2,445)	(8,658)
<b>საოპერაციო შემოსავალი</b>		<b>16,365</b>	<b>12,842</b>
გაუფასურების ხარჯი სასესხო ფინანსურ აქტივებზე	6	(1,546)	(853)
პერსონალის ხარჯები		(7,201)	(6,947)
ცვეთა და ამორტიზაცია		(1,957)	(1,726)
სხვა საოპერაციო ხარჯები	15	(2,814)	(2,308)
<b>მოგება დაბეგვრამდე</b>		<b>2,847</b>	<b>1,008</b>
მოგების გადასახადის ხარჯი	8	(814)	(351)
<b>მთლიანი სრული შემოსავალი</b>		<b>2,033</b>	<b>657</b>

## ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის (ათას ლარში)

	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	პრივილეგირებული აქციები	გაუნაწილებელი მოგება	სულ
<b>2021 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>2,250</b>	<b>1,117</b>	<b>7,347</b>	<b>9,579</b>	<b>20,293</b>
<b>კაპიტალში აღრიცხული ოპერაციები დამფუძნებლებთან</b>					
გამომშვებული ჩვეულებრივი აქციები	5	19	-	-	24
გამომშვებული პრივილეგირებული აქციები	-	-	117	(117)	-
	<b>5</b>	<b>19</b>	<b>117</b>	<b>(117)</b>	<b>24</b>
<b>მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში</b>					
მოგება წლის განმავლობაში	-	-	-	657	657
გამოცხადებული დივიდენდები	-	-	-	(1,020)	(1,020)
	-	-	-	<b>(363)</b>	<b>(363)</b>
<b>2022 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>2,255</b>	<b>1,136</b>	<b>7,464</b>	<b>9,099</b>	<b>19,954</b>
<b>კაპიტალში აღრიცხული ოპერაციები დამფუძნებლებთან</b>					
გამოსყიდული პრივილეგირებული აქციები	-	-	(475)	-	(475)
ფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების კორექტირება (შენიშვნა 7)	-	-	-	(491)	(491)
	-	-	<b>(475)</b>	<b>(491)</b>	<b>(966)</b>
<b>მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში</b>					
მოგება წლის განმავლობაში	-	-	-	2,033	2,033
გამოცხადებული დივიდენდები	-	-	-	(444)	(444)
	-	-	-	<b>1,589</b>	<b>1,589</b>
<b>2023 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>2,255</b>	<b>1,136</b>	<b>6,989</b>	<b>10,197</b>	<b>20,577</b>

	მენიშვნა	2023	2022
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება დაბეგვრამდე</b>		<b>2,847</b>	<b>1,008</b>
<b>კორექტირებები:</b>			
გაუფასურების ხარჯი სასესხო ფინანსურ აქტივებზე	6	1,546	853
დარიცხული პროცენტის წმინდა ცვლილება		(104)	(500)
სახელმეკრულებო ფულადი ნაკადების მოდიფიკაციის მოგება		(149)	(180)
ცვეთა და ამორტიზაცია		1,957	1,726
ბონუსის და სხვა ხარჯის ანარიცხები		468	409
დასაკუთრებული ქონების რეალიზაციიდან მიღებული მოგება		-	113
დასაკუთრებული ქონების გაუფასურება		447	123
წმინდა მოგება უცხოური ვალუტის გადაფასებიდან		(56)	(4,821)
წმინდა (მოგება)/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან		3	(248)
<b>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე</b>		<b>6,959</b>	<b>(1,517)</b>
<b>ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:</b>			
კლიენტებზე გაცემული სესხები		(12,268)	(18,243)
სხვა აქტივები		1,624	(2,802)
საგადასახადო აქტივი/ვალდებულება		772	(257)
სხვა ვალდებულებები		(38)	(441)
<b>საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები მოგების გადასახადის გადახდამდე</b>		<b>(2,951)</b>	<b>(23,260)</b>
გადახდილი მოგების გადასახადი		(626)	(94)
საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტის გადახდა		(385)	(470)
<b>საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები</b>		<b>(3,962)</b>	<b>(23,824)</b>
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან</b>			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(336)	(786)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		-	593
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(90)	(179)
<b>ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		<b>(426)</b>	<b>(372)</b>
<b>ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:</b>			
შემოსულობა ნასესხები თანხებიდან	11	109,405	111,094
ნასესხები სახსრების დაფარვა	11	(103,579)	(91,860)
პრივილეგირებული აქციების გამოსყიდვა		(475)	-
ჩვეულებრივი აქციების გამოშვებიდან მიღებული თანხები		-	24
საიჯარო ვალდებულების დაფარვა		(1,043)	(949)
გადახდილი დივიდენდები		(444)	(1,020)
<b>ფულადი ნაკადების შემოდინება ფინანსური საქმიანობებიდან</b>		<b>3,864</b>	<b>17,289</b>
<b>წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში</b>		<b>(524)</b>	<b>(6,907)</b>
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში</b>	5	6,778	13,879
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა		32	(194)
ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე			
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს</b>	5	<b>6,286</b>	<b>6,778</b>

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის თარიღით დასრულებული წლისთვის ორგანიზაციის მიერ მიღებულმა პროცენტმა შეადგინა შესაბამისად 24,106 ათასი და 20,940 ათასი ლარი.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის თარიღით დასრულებული წლისთვის ორგანიზაციის მიერ გადახდილმა პროცენტმა შეადგინა შესაბამისად 9,599 და 8,572 ათასი ლარი.





ემბისი

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია  
მიკრო ბიზნეს კაპიტალი

# ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ათას ლარში)



# 1

## ზოგადი ინფორმაცია

### ორგანიზაცია

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია “მიკრო ბიზნეს კაპიტალი” დაარსდა 2012 წლის 6 დეკემბერს, როგორც სააქციო საზოგადოება (შემდგომში “ორგანიზაცია”), საიდენტიფიკაციო ნომრით - 404967078. ორგანიზაცია საქმიანობას წარმართავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე და მას ზედამხედველობას უწევს საქართველოს ეროვნული ბანკი (“სებ”).

ორგანიზაცია მიზნად ისახავს კლიენტებზე მორგებული და ხელმისაწვდომი ფინანსური მომსახურების გაწევას მიკრო და მცირე ბიზნესებსა და ფერმერებზე, თანხებსა და სასესხო პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, კლიენტებთან გრძელვადიანი და გამჭვირვალე ურთიერთობების შენარჩუნებას. ორგანიზაცია, როგორც ფინანსური ინსტიტუტი სოციალური პასუხისმგებლობით, მიზნად ისახავს წვლილი შეიტანოს საქართველოს მდგრად ეკონომიკურ განვითარებაში.

ორგანიზაციის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება. ორგანიზაციის საქმიანობას ზედამხედველობას უწევს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრებიც შერჩეულია აქციონერთა საერთო კრების მიერ. ორგანიზაციის ყოველდღიური საქმიანობა ხორციელდება დირექტორთა საბჭოს მიერ, რომელსაც ირჩევს სამეთვალყურეო საბჭო.

ორგანიზაციას სრულად ფლობენ „აქციონერთა ჯგუფის“ წევრები. არ არსებობს ორგანიზაციის ერთპიროვნული მაკონტროლებელი მხარე 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. დეტალურად განხილულია 13 შენიშვნაში. ორგანიზაციას აქვს 17 ფილიალი. ორგანიზაციის სათავო ოფისი არის ქუთეჯან დედოფლის 68 ნომერში, თბილისი, საქართველო. ორგანიზაციის დირექტორია გია პეტრიაშვილი.

# 2

## მომზადების საფუძვლები

### ანგარიშგების შესაბამისობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

ორგანიზაციის სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი (ლარი), რომელიც წარმოადგენს საქართველოს ეროვნულ ვალუტას. ლარი ასევე წარმოადგენს წარსადგენ ვალუტას წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის.

ორგანიზაციის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

თანხობრივი მაჩვენებლები ფინანსურ ანგარიშგებაში დამრგვალებულია ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, ორგანიზაციის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები. ის მნიშვნელოვანი სფეროები, რომლებიც შეფასდა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მათი ეფექტის შესახებ, მოცემულია მე-3 შენიშვნაში. ბუღალტრული პოლიტიკის საფუძვლები მოცემულია მე-19 შენიშვნაში.

### შეფასების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, აღრიცხული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისა.

### საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ორგანიზაციის ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ ორგანიზაცია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ ორგანიზაცია საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება შესაფერისია ორგანიზაციისთვის.

# 2

## მომზადების საფუძვლები

### ა) 2023 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

2023 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი სტანდარტები და შესწორებები:

- ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები
- სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნები (შესწორება - ბასს 1 და ფასს სტანდარტების პრაქტიკის დებულება 2 – „არსებითობის განსჯა“);
- სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (შესწორება - ბასს 8 „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებაში და შეცდომები“);
- გადავადებული გადასახადი, რომელიც უკავშირდება ერთი ოპერაციიდან წარმოქმნილ აქტივებს და ვალდებულებებს (ბასს 12-ის შესწორება);

ეს ცვლილებები ფასს-ების სხვადასხვა სტანდარტებში ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან ან შემდგომი საანგარიშგებო პერიოდებისთვის. არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

### ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, IASB-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში და რომლებზეც ორგანიზაციამ გადაწყვიტა არ მიეღო ნაადრევად.

2024 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას - (ფასს 16-ის შესწორება);
- ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება);
- კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება);
- მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში).

2025 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები).

ამჟამად, ორგანიზაცია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე. ორგანიზაციას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებულ ამ და სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა ორგანიზაციაზე.

# 3

## მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ორგანიზაცია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

### მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების ანარიცხის შეფასება

ქვემოთ მოცემულია ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებული ძირითადი შეფასებები, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (ზარალის) რეზერვების შეფასებაზე:



## მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- **დეფოლტის ალბათობა:** დეფოლტის ალბათობა (PD) წარმოადგენს მთავარ მონაცემს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას. დეფოლტის ალბათობა არის მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს დეფოლტის მოხდენის ალბათობას კონკრეტულ პერიოდში, რომლის გაანგარიშებისას გამოიყენება ისტორიული მონაცემები და სამომავლო პირობებთან დაკავშირებული დაშვებები და მოლოდინი.
- **ზარალი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში:** ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) არის შესაძლო ზარალის შეფასება, რომელიც წარმოიშობა დეფოლტის შემთხვევაში. იგი ეფუძნება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და იმ ნაკადებს შორის სხვაობას, რომლის მიღებასაც ელის კრედიტორი, სესხის უზრუნველყოფებიდან და კრედიტის ერთიანი გაზრდით მიღებული ნაღდი ფულის ნაკადების გათვალისწინებით.
- **საპროგნოზო სცენარების დადგენა:** მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გაზომვისას ორგანიზაცია იყენებს გონივრულ და ფაქტებით გამყარებულ საპროგნოზო ინფორმაციას, რომელიც ეფუძნება დაშვებებს სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორის სამომავლო მოქმედებისა და ამ ფაქტორების ურთიერთქმედების შესახებ.

### იჯარის ვადა, ზღვრული სასესხო განაკვეთი და საიჯარო გადასახადები

ორგანიზაცია იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიხარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. ორგანიზაცია ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

ორგანიზაცია იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადასახადები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

### უზრუნველყოფის საგნის ღირებულების შეფასება

ხელმძღვანელობა რეგულარულად განიხილავს უზრუნველყოფის საგნის საბაზრო ღირებულებას. ხელმძღვანელობა იყენებს საკუთარ გამოცდილებას რეალური ღირებულების დასაკორექტირებლად. უზრუნველყოფის ღირებულება დამოკიდებულია მსესხებლის საკრედიტო რისკზე.

### გადასახადები

სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზისა და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, ორგანიზაცია თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია ყველა წლისთვის. ეს მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებს და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე. იმდენად, რამდენადაც ამ საკითხების საბოლოო საგადასახადო შედეგები განსხვავდება არსებული საბუღალტრო ჩანაწერების თანხებისაგან, ასეთი სხვაობები გავლენას იქონიებს საგადასახადო ხარჯზე იმ პერიოდში, როცა ასეთი გადაწყვეტილება იქნა მიღებული. ორგანიზაცია დარწმუნებულია, რომ მას შეუძლია თავისი საგადასახადო დეკლარაციების დასაბუთება და ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს გადასახადებთან დაკავშირებული რისკები.

სხვა ფინანსური ინსტიტუტების მსგავსად, ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად ორგანიზაცია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე. ეს შენიშვნა აღწერს ორგანიზაციის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რომ მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც ლიკვიდური ან მოკლევადიანია (სამ თვემდე ვადით), ითვლება, რომ მათი საბალანსო ღირებულება მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებასთან.

### ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ორგანიზაციის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ორგანიზაციის ფინანსური მხარისთვის.

ხელმძღვანელობის საერთო მიზანია, რომ შექმნას ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიზანმიმართული იქნება რისკების მინიმუმამდე შემცირებისკენ ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობისა და მოქნილობის გაუარესების გარეშე. აღნიშნულ პოლიტიკებთან დაკავშირებული დამატებითი დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ.

საქმიანობის პროცესში ორგანიზაცია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
  - სავალუტო რისკი
  - საპროცენტო განაკვეთის რისკი

### საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მსესხებლის ან სხვა კონტრაგენტის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს ორგანიზაციის ფინანსურ ზარალს. ორგანიზაციას შემუშავებული აქვს საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები (როგორც აღიარებული ფინანსური აქტივებისათვის ასევე აღიარება შეწყვეტილი სახელშეკრულებო ვალდებულებებისათვის), რომელშიც გათვალისწინებულია პორტფელის კონცენტრაციის ლიმიტების სახელმძღვანელო. საკრედიტო პოლიტიკა განიხილება და მტკიცდება მმართველთა საბჭოს მიერ.

საკრედიტო პოლიტიკა განსაზღვრავს შემდეგს:

- სასესხო/საკრედიტო განაცხადის განხილვისა და დამტკიცების პროცედურებს;
- მსესხებლების საკრედიტო შეფასების მეთოდოლოგიას;
- კონტრაგენტების საკრედიტო შეფასების მეთოდოლოგიას;
- უზრუნველყოფის შეფასების მეთოდოლოგიას;
- საკრედიტო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;
- სესხებისა და სხვა საკრედიტო რისკების მუდმივი მონიტორინგის პროცედურებს.

საკრედიტო კომიტეტზე წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტესა და სისწორეზე პასუხს აგებს საკრედიტო ოფიცერი, რომელიც კლიენტის ბიზნესის დეტალურად შესწავლისა და მისი საკრედიტო რისკის პირველადი შეფასების საფუძველზე ავსებს სასესხო განაცხადს. საბოლოოდ, საკრედიტო კომიტეტის წევრები გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით (კლიენტის გადახდისუნარიანობა; საკრედიტო ისტორია; ფინანსური მდგომარეობა; ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ა.შ.) აფასებენ სესხის განაცხადს.

რისკების მართვის დეპარტამენტი ახორციელებს კლიენტების ინდივიდუალური რისკის შეფასებას და ასევე მთლიანი საკრედიტო პორტფელის, კრედიტების კონცენტრაციის და საბაზრო რისკების შეფასებას.

ორგანიზაცია ახორციელებს მუდმივ მონიტორინგს და რეგულარულად აფასებს მისი კლიენტების გადახდისუნარიანობას. მიმოხილვა ეფუძნება კლიენტების ყველაზე ახალ ფინანსურ მდგომარეობას და სხვა მსგავსი ობიექტის მსესხებლის მიერ წარმოდგენილ ან ორგანიზაციის მიერ მოპოვებულ ინფორმაციას. რეგულარული მონიტორინგის სისტემა ხელს უწყობს საკრედიტო რისკის აღმოჩენას, მართვას და მის დროულ განეიტრალებას.

რისკების მართვის დეპარტამენტი ახორციელებს კლიენტების ინდივიდუალური რისკის შეფასებას და ასევე მთლიანი საკრედიტო პორტფელის, კრედიტების კონცენტრაციის და საბაზრო რისკების შეფასებას (კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების ანარიცხი იხილეთ მე-6 შენიშვნაში).

მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე ჩვეულებრივ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებასა და არაღიარებულ სახელშეკრულებო ვალდებულებების ოდენობებში. აქტივებისა და ვალდებულებების შესაძლო ურთიერთგაქვითვის გავლენა პოტენციური საკრედიტო დაქვემდებარების შემცირებაზე არ არის არსებითი.

საანგარიშგებო თარიღისთვის საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა შეადგენდა:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფული და ფულის ეკვივალენტები (სალაროს გარდა)	1,945	3,739
კლიენტებზე გაცემული სესხები	101,144	90,241
სხვა აქტივები	425	3,352
	<b>103,514</b>	<b>97,332</b>

### ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ორგანიზაცია სიძნელებებს წააწყდება ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისას, რომლებიც დაკავშირებულია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის გადაცემასთან. ლიკვიდურობის რისკი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც განსხვავებულია აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობისა და საპროცენტო განაკვეთების შესაბამისობა და/ან მათი კონტროლირებადი შეუსაბამობა წარმოადგენს ლიკვიდურობის მართვის ქვაკუთხედს. ფინანსურ ინსტიტუტში სრული შესაბამისობის მიღწევა იშვიათია, რამდენადაც ბიზნესი ხშირად გაურკვეველ დროს ვითარდება და თანაც ის სხვადასხვა ტიპის არის. შეუსაბამო პოზიცია პოტენციურად ზრდის მომგებიანობას, თუმცა, შესაძლოა ზრდიდეს ზარალის საფრთხესაც. ორგანიზაციის ლიკვიდურობის მართვის ამოცანაა, რომ ფულადი თანხები იყოს ხელმისაწვდომი, დამდგარი ფინანსური ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად.

ლიკვიდურობის მართვის პოლიტიკა მოითხოვს:

- ფულადი ნაკადების დაგეგმვას ძირითადი ვალუტების ჭრილში და მათთან დაკავშირებით საჭირო ლიკვიდური აქტივების დონის გათვალისწინებას;
- დაფინანსების წყაროების მრავალფეროვანი დიაპაზონის უზრუნველყოფას;
- სესხების კონცენტრაციისა და პროფილის მართვას;
- სესხის დაფინანსების გეგმის უზრუნველყოფას;
- ლიკვიდურობისა და გაუთვალისწინებელი დაფინანსების გეგმების უზრუნველყოფას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადები სესხის გაცემასთან დაკავშირებული პირობებისა და მათი ყველაზე ადრინდელი სახელშეკრულებო ვადიანობის გათვალისწინებით. ცხრილებში განხილული მთლიანი შემოდიდება და გადინება მოიცავს სახელშეკრულებო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე.

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>					
სხვა ნასესხები თანხები	9,838	44,004	40,962	-	<b>94,804</b>
სუბორდინირებული სესხები	120	335	6,991	-	<b>7,446</b>
საიჯარო ვალდებულება	374	1,055	4,001	245	<b>5,675</b>
სხვა ფინანსური ვალდებულებები	882	-	-	-	<b>882</b>
	<b>11,214</b>	<b>45,394</b>	<b>51,954</b>	<b>245</b>	<b>108,807</b>

## ფინანსური ინსტრუმენტები - რისკის მართვა

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>					
სხვა ნასესხები თანხები	1,676	4,953	83,330	-	89,959
სუბორდინირებული სესხები	95	310	1,646	5,227	7,278
საიჯარო ვალდებულება	371	1,044	3,783	1,337	6,535
სხვა ფინანსური ვალდებულებები	616	-	-	-	616
	<b>2,758</b>	<b>6,307</b>	<b>88,759</b>	<b>6,564</b>	<b>104,388</b>

### საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება შეიცვლება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ორგანიზაციის მიერ პროცენტის, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი) და საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი).

### - სავალუტო რისკების მართვა

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს ორგანიზაციის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. ორგანიზაცია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

სავალუტო რისკის ზეგავლენა ორგანიზაციაზე 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	აშშ			სხვა ვალუტები
	ლარი	დოლარი	ევრო	
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,855	683	1,151	597
გაცემული სესხები	100,232	912	-	-
სხვა ფინანსური აქტივები	350	34	31	10
	<b>104,437</b>	<b>1,629</b>	<b>1,182</b>	<b>607</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>				
სხვა ნასესხები თანხები	52,818	31,855	52	-
სუბორდინირებული სესხები	-	5,321	-	-
საიჯარო ვალდებულებები	224	4,526	-	-
სხვა ფინანსური ვალდებულებები	804	78	-	-
	<b>53,846</b>	<b>41,780</b>	<b>52</b>	<b>-</b>
<b>ღია საბალანსო პოზიცია</b>	<b>50,591</b>	<b>(40,151)</b>	<b>1,130</b>	<b>607</b>
<b>რისკების მართვის მიზნით ფლობილი წარმოებული ინსტრუმენტების ეფექტი</b>	<b>(35,559)</b>	<b>34,979</b>	<b>903</b>	<b>-</b>
<b>წმინდა ღია საბალანსო პოზიცია</b>	<b>15,032</b>	<b>(5,172)</b>	<b>2,033</b>	<b>607</b>



სავალუტო რისკის ზეგავლენა ორგანიზაციაზე 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	აშშ			სხვა ვალუტები
	ლარი	დოლარი	ევრო	
ფული და ფულის ეკვივალენტები	4,706	911	1,019	142
გაცემული სესხები	88,815	1,426	-	-
სხვა ფინანსური აქტივები	329	3,090	27	6
	<b>93,850</b>	<b>5,427</b>	<b>1,046</b>	<b>148</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>				
სხვა ნასესხები თანხები	40,843	38,477	21	-
სუბორდინირებული სესხები	-	4,873	-	-
საიჯარო ვალდებულებები	315	5,033	-	-
სხვა ფინანსური ვალდებულებები	567	49	-	-
	<b>41,725</b>	<b>48,432</b>	<b>21</b>	<b>-</b>
<b>ღია საბალანსო პოზიცია</b>	<b>52,125</b>	<b>(43,005)</b>	<b>1,025</b>	<b>148</b>
<b>რისკების მართვის მიზნით ფლობილი წარმოებული ინსტრუმენტების ეფექტი</b>	<b>(84,901)</b>	<b>87,911</b>	<b>-</b>	<b>-</b>
<b>წმინდა ღია საბალანსო პოზიცია</b>	<b>(32,776)</b>	<b>44,906</b>	<b>1,025</b>	<b>148</b>

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ორგანიზაციის მგრძობელობას ქართულ ლართან მიმართებით უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების 20%-იან ზრდას ან კლებაზე და წარმოადგენს ხელმძღვანელობის შეფასებას უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილებაზე. მგრძობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოური ვალუტის დენომინირებულ ფულად სახსრებს და აკორექტირებს წლის ბოლოსთვის უცხოურ ვალუტას 20% საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მიხედვით. გავლენა მოგება/ზარალსა და კაპიტალზე 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023			31 დეკემბერი 2022		
	(ლარი/აშშ დოლარი)	(ლარი/ევრო)	(ლარი/სხვა ვალუტები)	(ლარი/აშშ დოლარი)	(ლარი/ევრო)	(ლარი/სხვა ვალუტები)
20% ზრდა	(1,034)	407	121	8,981	205	30
20% შემცირება	1,034	(407)	(121)	(8,981)	(205)	(30)

ანალიზისას გამოყენებულია დაშვება, რომ ყველა ცვლადი, უცვლელი დარჩება.

### - საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

# 4

## ფინანსური ინსტრუმენტები - რისკის მართვა

პროცენტის მატარებელი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
სულ პროცენტის მატარებელი ფინანსური აქტივები	103,089	93,980
სულ პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები	(94,796)	(89,562)
	<b>8,293</b>	<b>4,418</b>

### კაპიტალის მართვა

ორგანიზაციის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- მოახდინოს ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უზრუნველყოფა ისე, რომ ორგანიზაციამ გააგრძელოს ეფექტურად საქმიანობა; და
- შეესაბამებოდეს სებ-ის მიერ დადგენილ კაპიტალის მოთხოვნილებებს; და
- ჰქონდეს ადეკვატური უკუგება აქციონერებისთვის.

ორგანიზაცია რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. ორგანიზაცია მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან დააკორექტიროს კაპიტალის სტრუქტურა, ორგანიზაციამ შეიძლება დააკორექტიროს მფლობელებისათვის გადახდილი დივიდენდები, დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელებს, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

ასევე, ორგანიზაციამ უნდა შეასრულოს სესხის ხელშეკრულებაში მითითებული კოვენანტები. დამატებითი ინფორმაცია მოცემულია მე-16 შენიშვნაში.

# 5

## ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ნაღდი ფული საღაროში	4,341	3,039
ფული ბანკებში	1,945	3,739
	<b>6,286</b>	<b>6,778</b>

ფული და ფულის ეკვივალენტები ვალუტების მიხედვით გაშიფრულია მე-4 შენიშვნაში.

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მომხმარებელი*	50,332	28,255
მომსახურება	24,567	33,962
ვაჭრობა	10,035	11,747
სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა	9,973	10,901
საცხოვრებელი*	7,934	5,827
წარმოება/მშენებლობა	2,778	2,718
	<b>105,619</b>	<b>93,410</b>
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(4,475)	(3,169)
<b>სულ კლიენტებზე გაცემული სესხები</b>	<b>101,144</b>	<b>90,241</b>

\*სამომხმარებლო სესხები გამიზნულია პირადი შესყიდვებისა და სხვა სამომხმარებლო ვალდებულებების დასაფარად. საცხოვრებელი სესხები უძრავი ქონების შეძენის, რემონტისა და მოწყობის მიზნობრივით გაცემული სესხებია.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი:

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ
<b>მომსახურება</b>				
ვადაგადაცილების გარეშე	21,274	178	-	21,452
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	304	-	-	304
31-90 დღემდე ვადაგადაცილებით	-	296	-	296
91-180 დღემდე ვადაგადაცილებით	-	-	364	364
180 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	-	-	2,151	2,151
<b>სულ მომსახურება</b>	<b>21,578</b>	<b>474</b>	<b>2,515</b>	<b>24,567</b>
გაუფასურების ანარიცხი	(307)	(77)	(1,215)	(1,599)
<b>საბალანსო ღირებულება</b>	<b>21,271</b>	<b>397</b>	<b>1,300</b>	<b>22,968</b>
<b>მოხმარება</b>				
ვადაგადაცილების გარეშე	47,782	266	-	48,048
სახელმწიფოებო ფულადი ნაკადები, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი და ძირითადი დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას, საბაზისო სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამისია. პროცენტი განისაზღვრება, როგორც ფულის დროითი ღირებულებისა და დარჩენილ ძირითადთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის ანაზღაურება კონკრეტული პერიოდის განმავლობაში. ის შეიძლება ასევე ითვალისწინებდეს სესხის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ძირითადი რისკების (მაგალითად, ლიკვიდობის რისკი) და დანახარჯების (მაგალითად, ადმინისტრაციულ დანახარჯებს) კომპენსაციას, რაც დაკავშირებულია დროის გარკვეულ პერიოდში ფინანსური აქტივის შენარჩუნებასთან. ასევე საბაზისო სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამის მოგების მარჟასაც.

იმის შეფასებისას, წარმოადგენენ თუ არა სახელმწიფოებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი და პროცენტის გადახდას, ორგანიზაცია აფასებს ინსტრუმენტის სახელმწიფოებო პირობებს. ეს წარმოადგენს იმის შეფასებას, მოიცავს თუ არა ფინანსური აქტივი სახელმწიფოებო პირობებს, რომლებიც შესაძლოა ცვლიდეს სახელმწიფოებო ფულადი ნაკადების ვალებს ან თანხებს, რომელიც არ შეესაბამება SPPI-ის პირობებს.

SPPI-ის პირობები თუ დარღვეულია, ასეთი ფინანსური აქტივები ფასდება როგორც რეალური ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით, მიღებული პროცენტი კი აღიარდება სხვა საპროცენტო შემოსავლად.

### ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც შესაბამისია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარება წყდება მაშინ, როდესაც:

- აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის;
- ორგანიზაცია გადასცემს ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს, ან მიიღო ვალდებულება გადაიხადოს მიღებული ფული მთლიანად მესამე მხარის მიმართ; ან (ა) გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივზე საკუთრების უფლებას, ან (ბ) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკსა და სარგებელს, მაგრამ გადასცემს კონტროლს აქტივზე.

### რეკლასიფიკაცია

პირველადი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, მანამ სანამ ორგანიზაცია არ შეცვლის ფინანსური აქტივების აღრიცხვის ბიზნეს მოდელს.

### ფინანსური აქტივების გაუფასურება ცვლილება გაუფასურების შეფასებაში

ფასს 9-ის მიღებამ ფუნდამენტურად შეცვალა ორგანიზაციის აღრიცხვა გაცემული სესხების გაუფასურების ანარიცხთან დაკავშირებით, კერძოდ ბასს 39-ის მიდგომა - „გაწეული ზარალი“ (CL) ჩაანაცვლა მომავალზე ორიენტირებულმა - „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ (ECL) მოდელმა. ფასს 9 მოითხოვს ECL-ის დაანგარიშებას ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული ყველა ფინანსური აქტივისთვის, რომელიც აღრიცხულია, როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ან რეალური ღირებულების სხვა სრულ შემოსავალში აღრიცხვით.

გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება ECL-ს, რომელიც დაანგარიშებულია ფინანსური აქტივის წარმოქმნიდან მომავალი 12 თვის მანძილზე დეფოლტის მოხდენის შემთხვევაში, მანამ სანამ არ მოხდება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, რა დროსაც გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე დაანგარიშებულ ECL-ს. თუ ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს შეძენილის ან აღიარებისთანავე გაუფასურებულის განმარტებას, გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება არსებობის მანძილზე დაანგარიშებულ ECL-ს.

ფასს 9-ის მიხედვით ორგანიზაცია ჯერ ცალკეულად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივებისთვის განსაზღვრავს თუ არის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. შემდგომ კი ჯგუფურად აფასებს იმ აქტივებს, რომლებიც ცალკეულად არ არის მნიშვნელოვანი და აქტივებს, რომლებიც მნიშვნელოვანია, მაგრამ არ არის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება გამოვლენილი მათი ცალკეულად შეფასებისას.

ჯგუფურად შეფასებული ფინანსური აქტივები (მაგ. გაცემული სესხები) დაჯგუფებულნი არიან საერთო საკრედიტო მახასიათებლების, უზრუნველყოფის სახისა და პროდუქტის სახის მიხედვით.

### სამ ეტაპიანი მიდგომა

ფასს 9 წარადგენს 3 ეტაპს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურებისთვის, მათი წარმოქმნის ან შექმნის თარიღში. ეს მიდგომა შეჯამებულია ქვემოთ:



**1-ლი ეტაპი:** ორგანიზაცია აღიარებს საკრედიტო ზარალის ანარიცხს 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხით. ეს წარმოადგენს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილს დეფოლტის შემთხვევაში, საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის ვადაში, იმ დაშვებით, რომ თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად. იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომელთა ვალიანობა 12 თვეზე ნაკლებია, დეფოლტის აღბათობა იგივეა, რაც არსებობის მანძილზე.

**მე-2 ეტაპი:** ორგანიზაცია აღიარებს საკრედიტო ზარალის ანარიცხს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხით, იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებმაც თავდაპირველი აღიარების შემდეგ განიცადეს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა. ეს მოითხოვს ECL-ის გამოთვლას, რომელიც დაფუძნებულია ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე დეფოლტის მოხდენის აღბათობაზე.

ანარიცხი საკრედიტო ზარალებზე ამ ეტაპზე არის უფრო მაღალი, რადგან გაზრდილია საკრედიტო რისკი და გასათვალისწინებელი პერიოდი უფრო გრძელია ვიდრე 1 ეტაპის 12 თვე. მე-2 ეტაპზე მყოფი ფინანსური ინსტრუმენტები ჯერ (ამ ეტაპისთვის) არ იგულისხმებიან გაუფასურებულა.

**მე-3 ეტაპი:** თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის გაუფასურებული, იგი გადადის მე-3 ეტაპზე. ორგანიზაცია აღიარებს გაუფასურების ზარალს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ზარალის თანხით, ამ გაუფასურებული ფინანსური ინსტრუმენტების PD-ის 100 %-ით.

ვალაგადაცილების დღეების გათვალისწინებით, სესხების 3 ეტაპზე გადანაწილება შემდეგნაირად შეიძლება იყოს წარმოდგენილი:

უზრუნველყოფის სახე	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3
უძრავი ქონება	0-30	31-90	>90
მოძრავი ქონება	0-30	31-90	>90
მესამე მხარის გარანტიები	0-30	31-90	>90
არაუზრუნველყოფილი	0-30	31-90	>90

ორგანიზაცია ავტომატურად ანიჭებს სესხს 1 ეტაპს, სესხის გაცემის მომენტში. სესხი გადაინაცვლებს მე-2 ეტაპზე, თუ ქვემოთ მოცემული რომელიმე მაპროვოცირებელ მოვლენას ექნება ადგილი:

- ა) სესხის 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- ბ) სესხის რესტრუქტურისაცია;
- გ) მსესხებლის მიერ შემოსავლის დაკარგვა;
- დ) მსესხებლის შრომისუუნარობა;
- ე) თაღლითობა მსესხებლის ბიზნესში (ბიზნეს მსესხებლებისთვის);
- ვ) ბიზნესის მნიშვნელოვანი ნაწილის/ქონების გაყიდვა რაც აუცილებელია მისი შემოსავლების გენერაციისთვის (ბიზნეს მსესხებლისთვის);
- ზ) მაკროეკონომიკური ფაქტორების ან მათი საპროგნოზო მნიშვნელობების გაუარესება, რასაც გავლენა აქვს მსესხებელზე ან/და მსესხებელთა ჯგუფზე;
- თ) მარეგულირებელი, პოლიტიკური და ტექნოლოგიური მოლოდინების გაუარესება, რასაც გავლენა აქვს მსესხებელზე ან/და მსესხებელთა ჯგუფზე;
- ი) არასასურველი ცვლილებები სექტორში ან საწარმოო პირობებში, რომელშიც მსესხებელი ოპერირებს.

სესხი გადაინაცვლებს მე-2 ეტაპიდან 1-ელ ეტაპზე, თუ:

- ა) მე-2 სტადიის მაპროვოცირებელი ფაქტორის მოხდენიდან 6 თვის მანძილზე მსესხებელი გრაფიკის მიხედვით ემსახურება სესხს;
- ბ) იმ გარემოებების გამოსწორება, რომლის გამოც სესხმა გადაინაცვლა მე-2 ეტაპზე.

რესტრუქტურისირებული სესხები 1-ლ სტადიაში არ ბრუნდება. გადუფოლტებული სესხები დეფოლტის მომენტში გადაინაცვლებს მე-3 ეტაპზე, მე-3 სტადიაში მოხვედრილი სესხი სხვა სტადიაში აღარ ბრუნდება.

## დეფოლტის განსაზღვრა

დეფოლტის სტატუსი გამოიყენება იმ სესხებისთვის, რომლისთვისაც ქვემოთ მოცემულ რომელიმე მოვლენას ექნება ადგილი:

- ა) სესხები 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით;
- ბ) მსესხებლის გარდაცვალება;
- გ) გაკოტრების პროცედურების წამოწყება (იურიდიული პირების შემთხვევაში); ან
- დ) თაღლითობა ან სხვა ფორსმაჟორული სიტუაცია, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მსესხებლის გადახდისუნარიანობაზე.

დეფოლტის განმარტება თანხვედრაშია ფასს 9-ის მოთხოვნებთან, 90 დღეზე მეტი ვადით გადაცილების შესახებ. ორგანიზაცია დეფოლტს აღიარებს გაუფასურებული სესხებისთვის.

## საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

იმის განსაზღვრისას, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის მოხდენის რისკი, მისი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ორგანიზაცია ითვალისწინებს გონივრულ და საჭირო ინფორმაციას, რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი მიზანშეწონელი ხარჯებისა და ძალისხმევების გარეშე. ეს მოიცავს რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, ანალიზს, რომელიც დაფუძნებულია ორგანიზაციის წარსულ გამოცდილებაზე და საკრედიტო ექსპერტების შეფასებაზე, ასევე მომავალის პროგნოზირებისთვის საჭირო ინფორმაციას.

რაოდენობრივი ინფორმაცია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია და ეფუძნება არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობის ცვლილებას შემდეგი ორი მაჩვენებლის შედარებით:

- დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა ანგარიშგების დღეს; და
- დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა მოცემული დროის მონაკვეთში, რომლის შეფასებაც მოხდა იმ ფაქტებსა და მოვლენებზე დაყრდნობით რომელიც არსებობდა აღიარების მომენტში.

ორგანიზაციის აზრით, საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ხდება არაუადრეს 30 დღიანი ვადაგადაცილებისა.

ორგანიზაცია რეგულარულად მიმოიხილავს შემდეგ ფაქტორებს, რათა დარწმუნდეს, რომ აღნიშნული კრიტერიუმები ეფექტურია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის მონიტორინგისას:

- კრიტერიუმებს შეუძლიათ გამოააშკარაონ საკრედიტო რისკის არსებითი ზრდა მანამ სანამ ის დაექვემდებარება დეფოლტს;
- კრიტერიუმები არ შეესაბამება დროის იმ მომენტს როდესაც აქტივი ხდება 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილებული;
- საშუალო დრო აუცილებელი საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დადგენიდან დეფოლტამდე არის გონივრული;
- რისკზე დაქვემდებარება არ გადადის პირდაპირ 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალიდან კრედიტით გაუფასურებულში; და
- არ არსებობს არანაირი უსაფუძვლო არასტაბილურობა ზარალის რეზერვში, 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალიდან (ეტაპი 1) არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში (ეტაპი 2) გადატანებიდან.

## საპროგნოზო ინფორმაცია

ფასს 9-ის მიხედვით საკრედიტო ზარალების ანარიცხი დაფუძნებულია გონივრულ და საჭირო საპროგნოზო ინფორმაციაზე, რომელიც ხელმისაწვდომია მიზანშეწონელი ხარჯებისა და ძალისხმევების გარეშე, რომელიც მოიცავს წარსულ მოვლენებს, მიმდინარე პირობებსა და მომავალი ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზებს.

ორგანიზაცია საპროგნოზო ინფორმაციას იყენებს, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შესაფასებლად, ისე ECL-ის გაზომვის დროს.

ორგანიზაციამ მოახდინა საკრედიტო რისკის და საკრედიტო ზარალის საკვანძო მამოძრავებლის იდენტიფიცირება და დოკუმენტირება თითოეული ფინანსური ინსტრუმენტის პორტფელისთვის და ისტორიული მონაცემების ანალიზის გამოყენებით, ივარაუდა დამოკიდებულებები მაკროეკონომიკურ ცვლადებსა და დეფოლტის ალბათობებს შორის. საკვანძო მამოძრავებელს მშპ-ს პროგნოზები წარმოადგენს. ნავარაუდები დამოკიდებულებები საკვანძო ინდიკატორებსა და დეფოლტსა და სესხის პორტფელის ზარალის განაკვეთებს შორის, ჩამოყალიბებულ იქნა ბოლო 5 წლის ისტორიული მონაცემების ანალიზის საფუძველზე.

## მოდელიზირებული ფინანსური აქტივები

სესხის სახელშეკრულებო პირობები შესაძლებელია შეიცვალოს რიგი მიზეზების გამო, როგორცაა საბაზრო პირობების ცვლილება, კლიენტების შენარჩუნება და სხვა ფაქტორები რომლებიც არ არიან დაკავშირებული კლიენტის მიმდინარე ან პოტენციურ საკრედიტო გაუარესებასთან. არსებული სესხის აღიარება, რომლის პირობებიც შეიცვალა შესაძლებელია შეწყდეს და ახალ სესხად აღიარებულ იქნას მოდიფიცირებული სესხი, სამართლიანი ღირებულებით, მოყვანილი საადრიცხო პოლიტიკის შესაბამისად.

ორგანიზაცია ახდენს კლიენტებზე გაცემული სესხების პირობების ცვლილებას ფინანსური სირთულეების მქონე კლიენტებისთვის (ეგრეთ წოდებული “მოთმინების ქმედებები”), რათა გაზარდოს სესხის ამოღების შესაძლებლობები და მოახდინოს დეფოლტის რისკის მინიმიზება. ორგანიზაციის მოთმინების პოლიტიკის მიხედვით, სესხის პირობების ცვლილება ხდება, თუ მსესხებელი დეფოლტშია, ან არსებობს დეფოლტის მაღალი რისკი, არსებობს მონაცემები, რომ მსესხებელმა გააკეთა ყველა გონივრული ქმედება არსებული საკონტრაქტო ვალდებულების მიხედვით ვალის გასტუმრებისთვის და იგი შეძლებს განახლებული სასესხო პირობების დაკმაყოფილებას. რესტრუქტურული სესხები გადატანილია მეორე ეტაპზე და გამოიყენება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. შეცვლილი პირობები როგორც წესი გულისხმობს დაფარვის ვალის განაგრძობას, და საპროცენტო გადახდების განრიგის ცვლილებას.

## რესტრუქტურული ფინანსური აქტივები

თუ ფინანსური აქტივის პირობები იცვლება მოლაპარაკებების საფუძველზე ან მსესხებლის ფინანსური სირთულეების გამო არსებული ფინანსური აქტივი ახლით იცვლება, მაშინ კეთდება შეფასება იმისა უნდა მოხდეს თუ არა ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ანგარიშდება შემდეგნაირად:

- თუ მოსალოდნელი რესტრუქტურულია არ გამოიწვევს არსებული აქტივის აღიარების შეწყვეტას, მაშინ შეცვლილი ფინანსური აქტივიდან მისაღები მოსალოდნელი ფულადი სახსრები ჩათვლილია მიმდინარე აქტივისგან მიღებული ფულადი დანაკლისის გაანგარიშებაში.
- თუ მოსალოდნელი რესტრუქტურულია გამოიწვევს არსებული აქტივის აღიარების შეწყვეტას, მაშინ ახალი აქტივის მოსალოდნელი სამართლიანი ღირებულება განიხილება როგორც საბოლოო ფულადი ნაკადი არსებული ფინანსური აქტივიდან მისი აღიარების შეწყვეტის მომენტში. ეს ოდენობა ჩათვლილია მიმდინარე ფინანსური აქტივისგან მიღებულ ფულად დანაკლისში, რომელიც დისკონტირებულია მოსალოდნელი აღიარების შეწყვეტის თარიღიდან ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე არსებული ფინანსური აქტივის საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

## ECL-ის გაზომვა

ECL-ის გასაზომად გამოსაყენებელი ძირითადი საშუალებები არის ქვემოთ მოყვანილი ცვლილებების სტრუქტურა:

- დეფოლტის ალბათობა (PD);
- ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD);
- დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD).

აღნიშნული პარამეტრები, როგორც წესი შეფასებულია შიდა სტატისტიკური მოდელების და სხვა ისტორიული მონაცემთა ბაზის გამოყენებით. ისინი შექმნილია სამომავლო პროგნოზის ასახვის მიზნით, როგორც ზემოთ არის აღწერილი. ეს ცვლადები (EAD-ის გარდა) დაანგარიშებულია ყოველწლიურად. EAD განახლება ყოველთვის, როდესაც ხდება სესხის გაუფასურების ანარიცხის კალკულაცია.

## დეფოლტის ალბათობა (PD)

PD მაჩვენებლები არის მაჩვენებლები კონკრეტული თარიღისთვის და გამოითვლება სტატისტიკური რეიტინგის მოდელების მიხედვით.

იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ან სესხი მიგრირდება რეიტინგების კატეგორიებს შორის, აღნიშნულმა შესაძლოა, გამოიწვიოს ცვლილება შესაბამისი PD-ს შეფასებისას. PD-ს შეფასება ხდება საკონტრაქტო ვალის შესაბამისად წინასწარი გადახდის კოეფიციენტის გათვალისწინებით.

დეფოლტის ალბათობის განსაზღვრისთვის ორგანიზაცია იყენებს ბოლო 3 წლის სტატისტიკას. ეს მაჩვენებელი დაანგარიშდება ცალ-ცალკე ყველა სეგმენტისთვის, სესხები სეგმენტებად დაჯგუფებულია სესხის უზრუნველყოფის ტიპების მიხედვით. PD გამოითვლება სასესხო პორტფელის მიმართ მიგრაციის მატრიცის მისადაგებით, რომელიც გვიჩვენებს სასესხო პორტფელის გადანაცვლების ალბათობას გაუფასურების ეტაპებს შორის.

## ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD)

LGD გამოიყენება მოსალოდნელი დანაკარგის მოცულობის განსაზღვრისთვის, რომელიც შეიძლება წარმოიშვას დეფოლტის შემთხვევაში. ამ მაჩვენებლის გამოსათვლელად გამოიყენება ბოლო 3 წლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განმავლობაში გადეფოლტებული სესხები და ამ სესხებზე დეფოლტის მომენტიდან საანგარიშგებო პერიოდამდე განხორციელებული თანხის შემოდინებები წლის ჭრილში.

## დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD)

EAD წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე საკრედიტო რისკის ზეგავლენის შეფასებას პოტენციური დეფოლტის მოხდენის მომენტში. ეს წარმოადგენს მიუღებელ ფულად ნაკადებს დეფოლტის მომენტში, წინსწრებით დაფარვების, პროცენტის დაფარვებისა და EIR-ით დისკონტირებული დარიცხვების გათვალისწინებით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს რეგულაციით დადგენილს.

## ფინანსური ვალდებულებები

სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური ვალდებულებები უნდა დაკლასიფიცირდეს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“ და „სხვა ფინანსურ ვალდებულებებად“. ორგანიზაციამ ყველა ფინანსური ვალდებულება დააკლასიფიცირა, როგორც „სხვა ფინანსური ვალდებულებები“.

ორგანიზაციის სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სხვა ვალდებულებებსა და მიღებულ სესხებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

## ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გადახურვა

ორგანიზაცია ფინანსურ აქტივებისა და ვალდებულებების გადახურვას აკეთებს მაშინ, როდესაც ურთიერთობა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ორგანიზაცია გეგმავს ანგარიშსწორებას გადახურული ნაშთის საფუძველზე, ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

## რეკლასიფიკაცია

ფინანსური ვალდებულებები არ რეკლასიფიცირდება პირველადი აღიარების შემდგომ.

## ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.



## რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 13 მოითხოვს განმარტებით მნიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება მიახლოებულია მათ საბალანსო ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულების შეფასება მიზნად ისახავს იმ ფასის მიახლოებას რომელიც მიღებულ იქნებოდა აქტივის გაყიდვისას ან ვალდებულების გადაცემისას ბაზრის მონაწილეებს შორის სტანდარტულ ოპერაციებში შეფასების დღისთვის. ამასთან, გაურკვევლობების და სუბიექტური მსჯელობების გამოყენების გათვალისწინებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებლივ გაყიდვაში ან ვალდებულებების გადაცემაში.

## საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო ხარჯები და შემოსავლები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დარიცხვის მეთოდით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად. ამ მეთოდის შესაბამისად გადავადდება ყველა ის საკომისიო შემოსავალი და ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია სესხის გაცემასთან და სესხის მიღებასთან, რადგანაც ოპერაციის ხარჯები ჩართულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში ჩაირთვება ისეთი შემოსავლები და ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია სესხის გაცემასთან და მიღებასთან. მაგალითად, საკომისიო შემოსავალი, რომელიც მოიცავს მსესხებლის საკრედიტო მდგომარეობის შეფასებას, უზრუნველყოფის საგნის შეფასებასთან.

სხვა შემოსავლები და ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის შესაბამისად, რომელიც შესაბამისობაშია გაცემული ან მიღებული სერვისის მოცულობასთან.

ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც იმყოფება 1-ელ და მე-2 ეტაპზე, ორგანიზაცია საპროცენტო შემოსავალს არიცხავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) გამოყენებით მთლიან საბალანსო თანხაზე. მე-3 ეტაპზე არსებული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის საპროცენტო შემოსავალი დაიანგარიშება EIR-ის გამოყენებით, სესხების ამორტიზებული ღირებულებაზე (ე.ი. მთლიანი საბალანსო თანხა შემცირებული საკრედიტო ზარალის ანარეცხით). იმ ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც შესყიდვის ან წარმოქმნის მომენტში გაუფასურებული, საპროცენტო შემოსავალი ერიცხებათ EIR-ის გამოყენებით, ამორტიზებულ ღირებულებაზე.

## წარდგენა

მოგებაში ან ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში წარმოდგენილი, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით დათვლილი საპროცენტო შემოსავალი მოიცავს ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებზე პროცენტს.

მოგებაში ან ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში წარმოდგენილი საპროცენტო ხარჯი მოიცავს ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ ვალდებულებებზე პროცენტს.

## საკომისიოები

საკომისიო ხარჯი და შემოსავალი ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და შედის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთში.

მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელიც იწვევს ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში ფინანსური ინსტრუმენტის აღიარებას, შეიძლება ნაწილობრივ ესადაგებოდეს ფასს 9 და ნაწილობრივ ფასს 15-ი. ამ შემთხვევაში ორგანიზაცია ჯერ იყენებს ფასს 9-ს, რომ დაყოს და აღრიცხოს ხელშეკრულების ის ნაწილი რომელიც ფასს 9-ს მიეკუთვნება და შემდეგ დარჩენილ ნაწილზე იყენებს ფასს 15-ს. სხვა საკომისიო ხარჯები ძირითადად უკავშირდება გარიგებების და მომსახურების საკომისიოს, და აღიარდება ხარჯად მომსახურების გაწვევისთანავე.

## პერსონალის ხარჯი

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ორგანიზაციამ დასაქმებულისგან.

## საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯების აღიარება

საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ვერ მოხდება მისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა აქტივად აღიარების მოთხოვნის დაკმაყოფილება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

## იჯარა

### ორგანიზაცია როგორც მეიჯარე

#### იჯარის იდენტიფიკაცია

იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ორგანიზაციამ უნდა შეაფასოს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება.

#### საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ორგანიზაცია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში, იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას და
- ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ორგანიზაცია საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად არის შესაძლებელი. თუ ეს შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადახდები მონაწილეობს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე. ცვლადი საიჯარო გადახდები თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადახდები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ორგანიზაციის ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის მოიცავს:

- თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას;
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმებს, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას;

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ორგანიზაცია აქტივების გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

### შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, აქტივს ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, აქტივების გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივების გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. საიჯარო აქტივი ამორტიზდება 7 წლიან პერიოდზე.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ ორგანიზაცია ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივების გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი აღიარდება მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

თუ შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან შეიცვალა მომავალი საიჯარო გადახდები იმის გამო, რომ შეიცვალა ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი ინდექსი ან განაკვეთი, საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება იჯარის ვადის დასაწყისში განსაზღვრული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საიჯარო გადახდების ცვლილება გამოწვეულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

როცა ორგანიზაცია ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე:

- იჯარის მოდიფიკაცია აისახება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო გადასახდებები მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში, რომლებიც დადისკონტირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივების გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება.

## იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივების გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამოყენებული), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, ჯგუფი განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. ჯგუფი ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

## ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივების გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

## საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. ჯგუფი ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

## მოკლევადიანი იჯარა და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს

ორგანიზაციამ გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს.

## დაბეგვრა

გადასახადის ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე და გადავადებული გადასახადისგან. გადასახადი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ შემთხვევის გარდა, თუ ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში. ამ შემთხვევაში გადასახადი ასევე აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში შესაბამისად. ორგანიზაციის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, განგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯები კორექტირდება გადავადებული გადასახადების თანხებით, რომლებიც წარმოიშობა სხვაობიდან აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის. ასეთი კორექტირებები გამოიწვევს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ასახვას.



2022 წლის დეკემბერში, საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილებები, რომლებიც ძალაში 2023 წლის 1 იანვრიდან შედის. საქართველოს ფინანსური სექტორის კომპანიებზე მოგების გადასახადი 20 პროცენტით განისაზღვრა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სხვა სუბიექტების დაბეგვრა ესტონურ საგადასახადო მოდელზე აღარ გადავა.

გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება ვალდებულებების საბუღალტრო ბალანსის მიხედვით განგარიშების მეთოდით. გადავადებული მოგების გადასახადის თანხა იანგარიშება გადასახადის მოსალოდნელი განაკვეთიდან, რომელიც უნდა იქნას გამოყენებული იმ წლებში, როდესაც დროებითი სხვაობის თანხა შეიძლება ანაზღაურებული ან რეალიზებული იყოს. გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, როცა არსებობს იმის ალბათობა, რომ დასაბეგრი მოგების მომავალი თანხები საკმარისი იქნება გადავადებული საგადასახადო აქტივების სარეალიზაციოდ. ბუღალტრული ბალანსის შედგენის თითოეული თარიღისათვის ორგანიზაცია გადააფასებს აუღიარებელ გადავადებულ საგადასახადო აქტივებს.

გადავადებული მოგების გადასახადი აღიარდება იმიტომ, რომ ეს არის მომავალი დასაბეგრი მოგება, რომლის მიმართაც შეიძლება გამოყენებული იყოს დროებითი სხვაობა. გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება არის გადახურული, როდესაც არის კანონიერი უფლება, რომ გადაიხუროს მიმდინარე საგადასახადო აქტივი საგადასახადო ვალდებულების მიმართ.

### ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს საღაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ნაღდი ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

### ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა (ამორტიზაციის) და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითად საშუალებებზე (და არამატერიალურ აქტივებზე) ცვეთის (და ამორტიზაციის) დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში სისტემატურ საფუძველზე წრფივი მეთოდით. ცვეთა (და ამორტიზაცია) ერიცხება შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადების მიხედვით:

	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
შენობა-ნაგებობები	30-40
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	3-7

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა გადამოწმდეს, ხომ არ არის აღიარებული ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტად. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის. არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში სისტემატურ საფუძველზე წრფივი მეთოდით.

### არაფინანსური აქტივების გაუფასურება გარდა მარაგებისა

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია მიმოიხილავს აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურებაზე იტესტება აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება) საბალანსო ღირებულება. გაუფასურების ზარალი მოგება ზარალში აღიარდება იმ მოცულობით, რა მოცულობითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების შემოწმების მიზნებისთვის აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალი იდენტიფიცირებადი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების მიხედვით.

## სააქციო კაპიტალი და დივიდენდები

ჩვეულებრივი აქციები დისკრეციული დივიდენდებით კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი. დამატებითი ხარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ახალი აქციებისა თუ ოფციონების გამოშვებასთან ნაჩვენებია კაპიტალში საგადასახადო გამოქვითვებით შემცირებული შემოსულობების სახით.

დივიდენდები ჩაიწერება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც ის არის გამოცხადებული. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც გამოცხადდა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე გაიშიფრება ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში. ჩვეულებრივ აქციებზე დივიდენდების აღიარება ხდება გაუნაწილებელი მოგების განაწილების სახით, მათი გამოცხადების პერიოდში. პრივილეგირებულ აქციებზე დივიდენდების აღიარება ხდება გაუნაწილებელი მოგების განაწილების სახით, როდესაც მათი დამტკიცება ხდება წლიური საერთო კრების მიერ ყოველ მოცემულ წელიწადს.

პრივილეგირებული სააქციო კაპიტალი რომელიც არის არადაბრუნებადი, დისკრეციული დივიდენდებით, კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი.

## უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

ორგანიზაცია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად ორგანიზაცია იყენებს ქართულ ლარს.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. გადაფასება არ ეხება არამონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებს.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი/ლარი	ევრო/ლარი
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	2.6894	2.9753
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	2.7020	2.8844

## საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების შესახებ, შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.